



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა
დასკვნა

[მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის
სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულება]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: პანდელის იპსილანდისი, ემერიტუს პროფესორი, თესალიის უნივერსიტეტი, საბერძნეთი
წევრები:

რუსუდან თაყაიშვილი, სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორია, საქართველო,

თამარ ძველიაია, სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო,
დავით ტეფნაძე, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, სტუდენტი
ექსპერტი, საქართველო

თბილისი
2023 წელი

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულება დაარსდა 2006 წელს სრულიად საქართველოს საპატრიარქოს მიერ და მეცნატი ივანე ჩხარტიშვილის მხარდაჭერით, როგორც თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება“. ის სპეციალიზირებული იყო ქართული გალობის რეგენტებისა და ხალხური სიმღერის ლოტბარების მიმართულებით. 2011 წელს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ იურიდიულ პირად, სახელწოდებით „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქართველოს საპატრიარქოს გიორგი მთაწმინდელის სახელობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება,“ ხოლო ერთი წლის შემდეგ, საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად, მიენიჭა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და ჩამოყალიბდა როგორც „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება“.

2014 წელს, შიდა სტრუქტურული გარდაქმნების შემდეგ, უმაღლესი განათლების საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას ავტორიზაცია მიენიჭა, რომელიც 2021 წელს განახლდა. 2015 წლიდან საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას და პრაქტიკულად დაიწყო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვა.

როგორც ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრებისას წარმოჩინდა, საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიტეტი და იმიჯი, როგორც აკადემიურ სივრცეში, ისე ზოგადად საზოგადოებაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა. კურსდამთავრებულთა უმეტესობა (80%) დასაქმებულია მიღებული კვალიფიკაციით, უპირველეს ყოვლისა, გალობის უნივერსიტეტისა და ქართული გალობის ფონდის წარმატებული თანამშრომლობით. როგორც ჩანს, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი და საშემსრულებლო საქმიანობა და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში თვალსაჩინო შედეგებს იძლევა.

2023 წლიდან საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გეგმავს საქმიანობის გაფართოებას, ავტორიზაციის პროცესის გავლის შემდეგ დაწესებულების სტატუსის შეცვლით, როგორც საერო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ამ ცვლილების საფუძველზე, გალობის უნივერსიტეტი განახორციელებს ახალ უმაღლეს განათლებას უფრო ფართო მასშტაბით, მოკლევადიან სასერტიფიკატო პროგრამებს და აქტიურად ჩაერთვება საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში, საერთაშორისო კვლევებში, და გადალახავს მართლმადიდებლური სასულიერო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სფეროში არსებული შეზღუდვებს. მიუხედავად ამისა, დაწესებულება კვლავ განაგრძობს ფუნდამენტური ღირებულებების პატივისცემასა და მათ მიხედვით ფუნქციონირებას, სტუდენტებს შესთავაზებს შესაძლებლობებს და ამავდროულად, შეინარჩუნებს და პოპულარიზაციას გაუწევს ქართულ რელიგიურ და კულტურულ მემკვიდრეობას. ინიციატივას ენთუზიაზმით შეხვდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რომლებმაც ხაზი გაუსვეს დაწესებულების შემდგომი განვითარების ახალ შესაძლებლობებს.

ახლახანს, საქართველოს მთავრობამ გალობის უნივერსიტეტს უსასყიდლოდ გადასცა ჩუბინაშვილის №49-ში მდებარე უძრავი ქონება უვადო დროით. 2024 წლის ბოლოსთვის უნივერსიტეტი ელოდება ამ მისამართზე არსებულ შენობაში გადასვლას, რომელიც ამჟამად

რემონტშია.

საავტორიზაციო შეფასების პროცედურის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ადგილზე ვიზიტი

გალობის უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგინა ვრცელი თვითშეფასების ანგარიში (SER), რომელსაც თან ახლავს ყველა სტანდარტის შესაბამისი დოკუმენტაცია ქართულად და ზოგიერთი ინგლისურ ენაზე. დაწესებულება საერო უნივერსიტეტად ავტორიზაციას პირველად გადის, ვინაიდან ამჟამინდელი სტატუსი არის საეკლესიო გალობის მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ექსპერტთა ჯგუფს სურს მადლიერება გამოხატოს ძალიან დეტალური ანგარიშის მოწოდებისთვის, რომელშიც წარმოჩენილია ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები თითოეული სფეროსათვის, რაც ანალიტიკური და ძალიან ინფორმაციული იყო. უნივერსიტეტის ვებგვერდი, რომელიც მოლოდინისამებრ ინფორმაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო იქნებოდა, უწყვეტი განვითარების პროცესში იყო და ვიზიტამდე ყოველ დღე ახალი მასალები იტვირთებოდა. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაციის მიწოდება, რაც უნივერსიტეტმა უზრუნველყო.

უნივერსიტეტში ვიზიტი მოეწყო ზედიზედ ორი დღის განმავლობაში - ხუთშაბათს და პარასკევს, 19-20 ოქტომბერს. ვიზიტამდე მოეწყო პირველადი გაცნობითი შეხვედრა სამშაბათს, 12 ოქტომბერს, Zoom-ის საშუალებით, რომლის დროსაც სამუშაოები გადნაწილდა ჯგუფის წევრების გამოცდილების მიხედვით, რასაც მოჰყვა მოსამზადებელი ტელეკონფერენცია ორშაბათს, 16 ოქტომბერს.

ვიზიტის ფარგლებში ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა და გასაუბრებოდა უნივერსიტეტის მმართველ გუნდს (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი), თვითშეფასების გუნდს, პროგრამების ხელმძღვანელებს, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს (საგანმანათლებლო პროცესის მართვის სამსახური, კარიერული განვითარებისა და დასაქმების მენეჯერი, საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთიერთობების, ადამიანური რესურსებისა და იურიდიული სერვისების წარმომადგენლებს, ფინანსები და ბუღალტერიის, სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრის, სტუდენტთა წარმომადგენლებს, კურსდამთავრებულთა წარმომადგენლებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებს, დამსაქმებელთა წარმომადგენლებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. შეხვედრების ყველა მონაწილე მზად იყო თანამშრომლობისთვის და დისკუსიებში ღიად და გულწრფელად მონაწილეობისათვის.

ვიზიტის დროს დამატებითი დოკუმენტებისა და მტკიცებულებების მოთხოვნები განიხილებოდა პროფესიონალურად და ეფექტურად.

პირველი დღის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 21 და თამარაშვილის ქ.63 ნომერში არსებული შენობები თბილისში და დაათვალიერა სწავლებისა და სწავლის პროცესისათვის საჭირო საშუალებები (აუდიტორიები, საკლასო ოთახები, კომპიუტერული ოთახები, ბიბლიოთეკა, სტუდია, სივრცეები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის) და ასევე ადმინისტრაციული სერვისის შენობები, პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახები, სანიტარული ობიექტები და სხვ.

მეორე დღის ბოლოს პანელმა ძირითადი მიგნებები წარუდგინა დაწესებულების ადმინისტრაციასა და პერსონალს.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველა მონაწილეს თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობისათვის ვიზიტის დროს.

უსდ-ს სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

უსდ:

- **სრულ შესაბამისობაშია პირველ სტანდარტთან: *უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება***

გალობის უნივერსიტეტს აქვს საჯაროდ გაცხადებული მკაფიო მისია, რომელიც წარმართავს უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას მართლმადიდებლური სასულიერო უმაღლესი სასწავლებლიდან საერო უნივერსიტეტზე გადასვლაში. მისი მისია ასახავს ღირებულებებსა და პრესტიჟს, რომელიც უმაღლესმა სასწავლებელმა მოიპოვა წინარე სტატუსის დროს სასულიერო და ფოლკლორული მუსიკის სფეროში და გამოხატავს მის მისწრაფებებს, რომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქართული რელიგიური და ტრადიციული მუსიკის და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის სხვა ასპექტების შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაში. უნივერსიტეტის მისიას ენთუზიაზმით მიესალმება მისი აკადემიური საზოგადოება (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები) და ასევე დამსაქმებლები, რომელთა უმეტესობა უშუალოდაა ჩართული ამ სფეროში და თვლის, რომ უნივერსიტეტს ახალი სტატუსით განვითარების მეტი შესაძლებლობა ექნება პროფესიული სწავლებისა და კვლევასთან დაკავშირებული საკითხების ხელშეწყობის გზით. თავისი მისიის შესასრულებლად უნივერსიტეტმა წარმოადგინა განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანია მიაღწიოს „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი სასწავლებლის“ სტატუსიდან საერო უნივერსიტეტზე გადასვლას, სადაც აქცენტირებულია ახალი, ეფექტური ადმინისტრაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება, საუნივერსიტეტო გარემოს, ინფრასტრუქტურისა და ობიექტების გაუმჯობესება, პროგრამული პორტფოლიოს გაფართოება სამაგისტრო დონის, ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება, მათი საერთაშორისო სტატუსისა და საზოგადოებასთან კავშირების გაძლიერება. უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია კონკრეტული ქმედებები, რომლებიც ხელშესახები და გაზომვადი შედეგების მიღწევას ემსახურება უნივერსიტეტის მიერ დასახული მისიის შესამაბისად, საჭირო ბიუჯეტითა ან სხვა აუცილებელი რესურსებით, სადაც პასუხისმგებლობები მკაფიოდაა განაწილებული, რომლებსაც შესაძლოა გარკვეული ტექნიკური გაუმჯობესება დასჭირდეს ბიუჯეტსა და აქტივობებს შორის სრული თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

- **მეტწილად შესაბამისობაშია მეორე სტანდარტთან: *უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა***

დაწესებულებამ წარმოადგინა შემოთავაზებული ორგანიზაციული სტრუქტურა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნების შესასრულებლად ახალი სტატუსით (ავტორიზაციის შემდეგ), რომელშიც ნაჩვენებია გალობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და უნივერსიტეტის მართვის ორგანოები სუბორდინაციისა და კოორდინაციის პრინციპებით. სტრუქტურა შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, გალობის უნივერსიტეტის წესდებას, სტრუქტურული ერთეულის დებულებასა და უმაღლესი სასწავლებლის სხვა შესაბამისი დებულებების პროექტებს. სუბორდინაციულ სტრუქტურებს/ერთეულებს შორის მკაფიოდაა წარმოჩენილი მათი უფლებამოსილებები, რამაც უნდა უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულებისთვის დაკისრებული საქმიანობის, როლებისა და მოვალეობების ეფექტურად შესრულება. უნდა აღმოიფხვრას გარკვეული სუსტი მხარეები, რაც ძირითადად უკავშირდება რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შორის პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით და ადმინისტრაციული სამსახურების წარმომადგენლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

შიდა ხარისხის მექანიზმები ნათლად არის აღწერილი შესაბამის დოკუმენტში და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება თანამშრომლობს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან, რათა უზრუნველყოს სწავლების, კვლევისა და მომსახურების ხარისხი და შესაბამისი ინსტრუმენტებითა და მეთოდებით უზრუნველყოფა. ამჟამად ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება მხოლოდ ერთი ადამიანით არის დაკომპლექტებული, უახლოეს მომავალში კიდევ ერთი პირის დამატებაა მოსალოდნელი. მისი როლი უნდა გადაიხედოს და უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს ხარისხის უზრუნველყოფასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე, ვიდრე ხარისხის კონტროლზე.

უმაღლესი სასწავლებელი აცხადებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებისადმი ერთგულებას. უნივერსიტეტის საზოგადოებისთვის ცნობილია და იზიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

- **სრულ შესაბამისობაშია** მესამე სტანდარტთან: *საგანმანათლებლო პროგრამები*

„გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი“ მოიცავს ყველა იმ დებულებას, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და მიზნად ისახავს ხარისხის კულტურის ამაღლებას დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ უმაღლეს სასწავლებელს უკვე აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება და მიზანი ამ სფეროში. საერო უნივერსიტეტის ახალი სტატუსით, უმაღლესი სასწავლებელი გეგმავს ერთი საბაკალავრო და სამი სამაგისტრო პროგრამის შემოთავაზებას ქართულ ენაზე. საბაკალავრო და ერთ-ერთი სამაგისტრო პროგრამა არის სასწავლებლის მიერ მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი სასწავლებლის სტატუსით შემოთავაზებული პროგრამების განახლებული ვერსიები. შინაარსობრივად და მიზნობრივად ყველა პროგრამა შეესაბამება დაწესებულების, როგორც მომავალი უნივერსიტეტის, ახალი სტატუსის ხედვას.

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გეგმავს შემოგვთავაზოს 1 საბაკალავრო და 3 სამაგისტრო პროგრამა საერო უნივერსიტეტის სტატუსით, ყველა მათგანი ქართულ ენაზე. საბაკალავრო და ერთ-ერთი სამაგისტრო პროგრამა არის სასწავლებლის მიერ მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი სასწავლებლის სტატუსით შემოთავაზებული პროგრამების განახლებული ვარიანტები. შინაარსობრივად და მიზნობრივად ყველა პროგრამა შეესაბამება დაწესებულების, როგორც მომავალი უნივერსიტეტის, ახალი სტატუსის ხედვას. პროგრამების შემადგენლობა და სტრუქტურა შეესაბამება სტანდარტს და წარმოდგენილია მკაფიო ფორმით, რომელშიც მოცემულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები და სწავლის შედეგები, კვალიფიკაცია, სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს შესაბამისი დარგის სავალდებულო და არჩევით კურსებს, აგრეთვე სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კურსებს კრედიტების შესაბამისი ოდენობით, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებსა და ფორმებს. როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის კურსებზე მისაღები მოთხოვნები გადაიხედა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი სასწავლებლის სტატუსის მქონე დაწესებულების კურსებთან შედარებით და შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს. ექსპერტთა ჯგუფის მიხედვით, ყველა კურსი შეესაბამება და ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას და ჩამოყალიბებას მოცემული პროგრამების საშუალებით, თუმცა გარკვეული ცვლილებებია საჭირო ქრიასტიანობის ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში.

ყველა პროგრამაში შედეგები წარმოდგენილია შემდეგი ფორმით: ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია და ფასდება საქართველოს კანონმდებლობის და სტანდარტის შესაბამისად. შეფასების მეთოდები მოიცავს ტესტებს, ესეს, დემონსტრირებას,

პრეზენტაციას, დისკუსიას, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დისკუსიაში მონაწილეობას, მოხსენებას, წერილობით დავალებას და ა.შ. და იზომება სწავლის შედეგების მიღწევის დონის განმსაზღვრელი შეფასების კონკრეტული კრიტერიუმებით.

- **სრულ შესაბამისობაშია** მეოთხე სტანდარტთან: *უსდ-ის პერსონალი*

უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკა აისახება მის წესდებაში, შინაგანაწესში, სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, ფაკულტეტის დებულებაში, შრომით ხელშეკრულებებსა და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში. როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი კომპეტენტურია სპეციალიზებულ სფეროში, ისინი დარგის ერთგული პროფესიონალები არიან. უმაღლეს სასწავლებელს ჰყავს საკმარისი კვალიფიციური სპეციალისტები პრაქტიკული საქმიანობის დასაწარმოებლად და განსახორციელებლად. პედაგოგიური პერსონალი მუდმივად გადის ტრენინგებს სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებში და მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს და მხარს უჭერს მათ პროფესიულ განვითარებას. ადმინისტრაციული პერსონალი ეფექტურად უჭერს მხარს უნივერსიტეტის სამსახურებს და მთლიანობაში ავლენს მაღალ პროფესიონალიზმს, ერთგულებასა და პასუხისმგებლობას.

დასაქმებულის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში ასახულია დაკისრებული უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა, კომუნიკაციის სფერო და ა.შ. თითოეული პოზიციისათვის. უმაღლეს სასწავლებელს აქვს კონკრეტული პოლიტიკა, რომელიც აღწერს პერსონალის წახალისების ფორმებს თანამშრომელთა მოტივაციისა და სამუშაოს დაფასების გაზრდის მიზნით.

გალობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირება რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებით: აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის წესი. უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელსაც ანახლებს ყოველ სემესტრში და ადგენს მათ ინდივიდუალურ ფუნქციებსა და მოვალეობებს. აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესი ითვალისწინებს, რომ აკადემიური პერსონალი ასევე ასწავლის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ამან შეიძლება მოითხოვოს ადაპტირება უნივერსიტეტის პერსონალისთვის, რომელთაც გააფორმეს აფილირების ხელშეკრულება. საერთო ჯამში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ადეკვატურია უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

- **მეტწილად შესაბამისობაშია** მეხუთე სტანდარტთან: *სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები*

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის და კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისთვის, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის უსდ-ის ვებგვერდზე. უმაღლესი სასწავლებლის ამჟამინდელი სტატუსიდან გამომდინარე, სტუდენტებს არ შეუძლიათ მობილობით გადმოსვლა ან გადასვლა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე არ არსებობს სტუდენტური თვითმმართველობა, თუმცა არსებობს „სტუდენტური თვითმმართველობის რეგულაციების“ პროექტი, რომელიც უნდა განხორციელდეს ახალი სტატუსით. უმაღლეს სასწავლებელსა და მის სტუდენტებს შორის ხელშეკრულება შეიცავს ინფორმაციას სტუდენტების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მოიცავს ორივე მხრის ინტერესის ყველა სფეროს და ამჟამინდელმა სტუდენტებმა წარმოადგინეს მტკიცებულებებს მათი აკადემიური შედეგების/ქულების გასაჩივრების პროცედურების შესახებ. სტუდენტების მხარდაჭერა უზრუნველყოფილია როგორც ფორმალური, ასევე

არაფორმალური გზით და მოიცავს კონსულტაციას მისაღები გამოცდების შესახებ, გაცნობით პროცედურებს ჩარიცხვის შემთხვევაში, სავალდებულო სამუშაო საათებს, ელექტრონულ კომუნიკაციას მასწავლებლებთან და უწყვეტ კონსულტაციას მათი სწავლის შესახებ, უკუკავშირის მექანიზმებს და ელექტრონულ პლატფორმას, რომელიც ხელს უწყობს სწავლისა და სწავლების პროცესს. დამსაქმებლებთან თანამშრომლობის რამდენიმე მემორანდუმის მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს დასაქმებისა და სტაჟირების, ასევე სრულფასოვანი პროფესიული პრაქტიკის ხელშეწყობას. საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობა“ დაარსების დღიდან მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობაში. გარდა აკადემიური საქმიანობისა, სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა კონცერტსა და ფესტივალში. სტატუსის მიღწევით, უმაღლეს სასწავლებელს შეეძლება გააფართოვოს საერთაშორისო მობილობა ორმხრივი თანამშრომლობისა და Erasmus+ პროგრამის მეშვეობით, აშშ-ში ნოტრ დამის უნივერსიტეტთან და ევროპის სხვა კულტურულ ორგანიზაციასთან არსებული თანამშრომლობის მიღმა. და ბოლოს, დაწესებულება მხარს უჭერს სტუდენტებს როგორც ფინანსურად (მაგ. ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის სწავლა უფასოა და არსებობს სტიპენდიები), ასევე სოციალურად (მაგ. თბილისის ფარგლებს გარეთ მცხოვრები სტუდენტების განთავსება).

- **სრულ შესაბამისობაშია** მეექვსე სტანდარტთან: **კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**

დაწესებულება თავისი სფეროს სპეციფიკის ფარგლებში წარმართავს მნიშვნელოვან სამეცნიერო, კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას, რომელიც ფართოდ აღიარებულია პროფესიონალებისა და დაინტერესებული პირების მიერ. დაწესებულებაში კვლევით/შემოქმედებით და საშემსრულებლო საქმიანობას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი. პროგრამებს პერიოდულად აკვირდება სპეციალური კომისია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით. ამ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები მოიცავს სამეცნიერო პუბლიკაციებს და მეთოდურ/სახელმძღვანელო ლიტერატურას, აუდიო ალბომების და საეკლესიო მუსიკის დისკების ჩაწერა/მომზადებას, სამეცნიერო და მეთოდურ კონფერენციებსა და ფორუმებში ჩართულობას, კონცერტებში, ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობას. სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას და სხვ.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში. სამეცნიერო საქმიანობა ფინანსდება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან; გარდა ამისა, მათ მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობა“ და საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

უამრავი აქტივობა განხორციელდა შემოქმედებითი და საშემსრულებლო მიმართულებით როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე, ხოლო სხვა მნიშვნელოვანი პროექტები, როგორცაა „მგალობელთა გუნდის დაუჯდომელი საგალობლების" მომზადება და გამოცემა და ჩიჯავაძე-გვახარია მუსიკის ხელნაწერი ლექსიკონის გაციფრულება, რომელიც საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული და ელექტრონული გამოცემის მომზადება, ჯერ კიდევ მიმდინარეობს. დაწესებულება ხელს უწყობს ახალგაზრდა მკვლევართა ჩართვას სამეცნიერო პროექტებში. მიმდინარე პროექტებში ჩართული არიან ახალგაზრდა მკვლევარები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

უმაღლესი სასწავლებელი თავისი შემოთავაზებული სტატუსით გეგმავს ახალი სამაგისტრო პროგრამების დაწყებას, რაც გაზრდის კვლევის შესაძლებლობებს. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, შეფასების და დაცვის წესები ნათლად არის აღწერილი სამაგისტრო დებულებაში. ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი, რომელსაც უნივერსიტეტი გამოიყენებს კვლევის მიმართულების გასაუმჯობესებლად. პლაგიატის პრევენციისა და გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტში ამოქმედდება პლაგიატის ამოსაცნობი პროგრამა Turnitin –ი.

- **მეტწილად შესაბამისობაშია** მეშვიდე სტანდარტთან: **მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა - აუდიტორიები, ლაბორატორიები, კლინიკური დაწესებულებები სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვისა და სტუდენტთა დაგეგმილი რაოდენობის შესატყვისია. მთავარი შენობა ქმნის სასიამოვნო სასწავლო გარემოს. მეორე კორპუსში დამატებითი ობიექტები, რომელიც თსუ-მ გადასცა გალობის უნივერსიტეტს 6 წლის ვადით სარგებლობისთვის გარკვეულ განახლებას საჭიროებს (თუმცა ძირითადი შენობა სტუდენტთა დაგეგმილი რაოდენობის ადეკვატურია). ბიბლიოთეკის ობიექტები საკმარისია ჩარიცხვის მიმდინარე პროცესისთვის და, რა თქმა უნდა, შეუძლია ადეკვატურად მოემსახუროს პერსონალს და სტუდენტებს უნივერსიტეტის ფარგლებში სტრატეგიული გეგმის პერიოდის განმავლობაში. ბიბლიოთეკის სამუშაო საათებია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე და შაბათს 10 საათიდან 15 საათამდე. ბიბლიოთეკის სერვისები მოიცავს ელექტრონულ კატალოგს, საპატრიარქოს ბიბლიოთეკასთან და ბიბლიოთეკათაშორის სერვისზე წვდომას, ასევე სკანირებისა და ბეჭდვის შესაძლებლობებს პერსონალისა და სტუდენტებისთვის. წიგნების, CD /DVD დისკების და ჩანაწერების მარაგი საკმარისია სტუდენტთა საჭიროებების უზრუნველსაყოფად და აკმაყოფილებს პროგრამების სილაბუსების მოთხოვნებს. ბიბლიოთეკის პერსონალი კომპეტენტურია და მუდმივად გადის ტრენინგებს. IT სერვისები უზრუნველყოფილია აუტოსორსინგით (გარე წყაროებით) და პერსონალისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უფასო Wi-Fi. სრულად ფუნქციონირებს ელექტრონული სწავლებისა და სწავლის ქვესისტემა და ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სერვისები; მიმდინარეობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, ხოლო ვებგვერდი ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე, ეს უკანასკნელი კვლავ ივსება ინფორმაციით.

შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს საპატრიარქო, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ფიზიკური და სხვა იურიდიული პირების შემოწირულობები. ამჟამად შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი მოდის სტუდენტების სწავლის საფასურზე; მოსალოდნელია, რომ ეს შეიცვლება ახალი სტატუსით, სადაც მაგისტრანტები გადაიხდიან სწავლის საფასურს. ფინანსური რესურსების განაწილება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმაში ხაზგასმულ პრიორიტეტებს. ბიუჯეტი საგულდაგულოდ არის აგებული, რათა მხარი დაუჭიროს გეგმაში შემავალ ყველა აქტივობას და ითვალისწინებს კონკრეტულ საბიუჯეტო ხაზს თითოეული აქტივობისთვის. შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზები უნდა გადაიხედოს, როდესაც უნივერსიტეტი აპირებს შემოგვთავაზოს ახალი პროგრამები და შეაფასოს აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის ზრდა.

პასუხი გალობის უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაზე

2023 წლის 24 ნოემბერს ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა გალობის უნივერსიტეტის შენიშვნებს ჯგუფის მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციებზე.

ექსპერტთა ჯგუფი, უნივერსიტეტის არგუმენტების განხილვის შემდეგ, აღნიშნავს შემდეგს:

I. საერთო ჯამში, რეკომენდაციები კარგად არის მიღებული უნივერსიტეტის მიერ. ხშირ შემთხვევაში, უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ცვლილებები უკვე განხორციელდა ან მიმდინარეობს ან დაგეგმილია ავტორიზაციის ძალაში შესვლის შემდგომ.

II. ავტორიზაციის სტანდარტებთან უსდ-ების შესაბამისობა დგინდება შეფასების დღეს უნივერსიტეტის სრულ მზადყოფნაში ყოფნის შესაძლებლობების მოხედვით. ამ კუთხით ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი მრავალი დოკუმენტი არის მარეგულირებელი წესების პროექტების სახით, რომელთაც კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზაციის გავლის შემდეგ განხორციელებს გალობის უნივერსიტეტი. აღნიშნული წესების კანონიერ ძალაში შესვლის მექანიზმები, დიდწილად, გათვალისწინებული იყო და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბებული. თუმცა, ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს რომ რეკომენდაციები,

რომლებიც პრინციპში მიღებულ იქნა უსდ-ს მიერ, შეტანილი იქნეს ავტორიზაციის ანგარიშში, რათა უზრუნველყოფილი უსდ-ს შეუფერხებლად გადასვლა უნივერსიტეტის სტატუსზე.

III. უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით: რეკომენდაცია „რეკომენდებულია მის სტრუქტურაში დაემატოს კარიერის განვითარების მენეჯერის პოზიცია“ (სტანდარტი 5.2) ამოღებულ იქნა და შესაბამისად ჩასწორდა ნარატიული ნაწილი. 4.1 სტანდარტის ორი რეკომენდაცია გაერთიანდა ერთში, ვინაიდან ისინი ერთსა და იმავე საკითხს გულისხმობდნენ, ხოლო რეკომენდაცია „მიიღეთ უსაფრთხოების წესები ორივე კორპუსში ავარიული გასასვლელებისათვის“ (სტანდარტი 7.1) შეიცვალა, რათა ეს საკითხი შეხებოდა მხოლოდ ჩუბინაშვილის ქუჩა 49-ში მდებარე შენობას.

IV. როცა აუცილებელი იყო, ანგარიშს დაემატა საჭირო ჩასწორებები და დაზუსტებები.

რეკომენდაციები

1. უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა სტრატეგიულ გეგმას, სამიზნე ინდიკატორებსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტს შორის;
2. სამოქმედო გეგმაში ჩართეთ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დასაქმების დებულებები და ამოცანები;
3. რეკომენდებულია ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეული ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
4. როლებისა და მოვალეობების ეფექტური და გამჭვირვალე განაწილების უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, უმაღლესმა სასწავლებელმა გადახედოს თავის ორგანიზაციულ წესდებას და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს მათ განხორციელებამდე ისე, რომ გარანტირებული იყოს საქმიანობის ოპტიმიზაცია.
5. უზრუნველყავით, რომ ყველა რეგულაცია, რომელიც ამჟამად დამტკიცებულია პროექტების სახით, პრაქტიკაში განხორციელდება.
6. უზრუნველყავით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ფილოსოფია, ხარისხის კონტროლისგან განსხვავებით, გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მთელი პროცესის განმავლობაში.
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების მიზნითა და უნივერსიტეტში მაღალი ხარისხის კულტურის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად, განხორციელეთ დაგეგმილი ხარისხის პოლიტიკა და შიდა მექანიზმები.
8. უზრუნველყავით, რომ სტუდენტური ორგანოს დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს დაწესებულების მიერ დამტკიცებულ გაზომვად ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.
9. ქრისტიანობის ისტორიის პროგრამის ფარგლებში მინიჭებული კვალიფიკაცია უნდა ფორმულირდეს, როგორც ქრისტიანობის ისტორიის მაგისტრი (MA in History of Christianity) და შესაბამისად იქნას მითითებული დოკუმენტაციაში ორივე ენაზე. უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის სახელწოდებასა და შინაარსს შორის შესატყვისობა.
10. პროგრამებში უნდა გაძლიერდეს პედაგოგიური ელემენტი, რათა პროგრამები შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის ხედვას.
11. განხორციელეთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების წესი და ამ ფარგლებში შემოღებულ იქნას პოლიტიკა, რომლითაც აკადემიური პერსონალის თითოეულ წევრს მოეთხოვება წარადგინოს უსდ-ს პერსონალური განვითარების წლიური გეგმა და დაეთანხმოს მას; ეს

სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

- რეკომენდებულია რეგულაციაში მობილობის პროცედურის შეტანა.
- უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის ჩამოყალიბება.
- რეკომენდებულია რეგულაციაში გაიწეროს გასაჩივრების პროცედურა.
- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ გაზარდოს აქტივობები სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებთან დაკავშირებით.
- გაიზარდოს საერთაშორისო თანამშრომლობა და ჩართულობა თანამედროვე კვლევებში; რეკომენდებულია, რომ გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და დამატებით გაცვლით პროგრამებზე პერსონალისა და სტუდენტების ხელმისაწვდომობა.
- მიღებულ იქნას ჩუბინაშვილის ქ. 49-ში არსებული შენობის ავარიულ გასასვლელთან დაკავშირებით ზომები.
- განაახლეთ ობიექტები თამარაშვილის 6-ში, რათა შეიქმნას უფრო სასიამოვნო გარემო სტუდენტებისა და პერსონალისათვის.
- შეიმუშავეთ ოფიციალური ყოვლისმომცველი IT მენეჯმენტის პოლიტიკა, როგორც 7.3 სტანდარტის ნარატიულ ნაწილშია აღწერილი.
- უზრუნველყოფილი იქნას დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა კონკრეტული ვადის დაწესებით, როდესაც დასრულდება საპილოტე გამოყენება და მოხდება ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა. უზრუნველყოფილი იქნას ყველა ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება გადასვლის თარიღამდე.
- დარწმუნდით, რომ IS მონაცემების სარეზერვო ასლები მუდმივად ინახება და მონაცემები დაცულია. განიხილეთ Cloud-ის გამოყენება, როგორც პარალელური სარეზერვო სისტემა.

რჩევები

- განიხილეთ ადგილობრივ პროფესიონალებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია, „პროფესიული საკონსულტაციო კომიტეტი“ ორგანოს ჩამოყალიბება, უსდ-ის დამფუძნებლებთან და უმაღლესი ადმინისტრაციის ორგანოებთან.
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად, უზრუნველყავით მონიტორინგისა და რეაგირების მექანიზმების დანერგვა, როგორც ეს აღწერილია.
- ამოქმედდეს დოკუმენტების ელექტრონული დამუშავების სისტემა.
- გაზარდეთ ინფორმირებულობა და თავიდან აიცილეთ აკადემიური არაკეთილსინდისიერება; დარწმუნდით, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები გამოიყენება და გადანაწილებულია უნივერსიტეტის საზოგადოებაში.
- პროგრამის დაგეგმვისა და განხილვის პროცესში გაითვალისწინეთ შედარება მსგავსს პროგრამებთან საქართველოში და საერთაშორისო დონეზე, რაც ასევე ხელს შეუწყობს ინსტიტუტის პოტენციალის გაზრდას საერთაშორისო კავშირებისა და თანამშრომლობის გაზრდის მიზნით.
- სწავლების მეთოდები, რომლებიც დასახელებულია სასწავლო გეგმებში, ასევე უნდა იყოს აღწერილი სილაბუსებში მათი განხორციელების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციით.
- სასურველია ყველა დაქირავებული პირის (თანამშრომლის) თანამდებობა ჩანდეს შესაბამის CV-ში.
- სასურველია, მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, უნივერსიტეტმა გაზარდოს სრულ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალის რაოდენობა და შეამციროს მოწვეული კადრების საჭიროება. ასევე,

უნდა მოხდეს მეტი პროფესორის წახალისება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად.

9. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს, როგორ წახალისოს მეტი აკადემიური პერსონალი აფილირებულის სტატუსის მოსაპოვებლად. გამოაქვეყნეთ უპირატესობები, რომლებსაც სთავაზობს აფილირება, როგორცაა პროფესიული განვითარების უწყვეტი შესაძლებლობები და მათი კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.
10. გადახედეთ აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესს, რომელიც მორგებული უნდა იყოს უნივერსიტეტის პერსონალზე, რომლებმაც ხელი მოაწერეს აფილირების ხელშეკრულებას.
11. ხელი შეუწყვეთ კურსდამთავრებულთა რეგიონული ჰაბების ჩამოყალიბებას, რათა მოამზადონ აპლიკანტები მისაღები გამოცდებისთვის.
12. იფიქრეთ დაწესებულების გუნდის აღდგენის შესახებ, რომელმაც შეწყვიტა საქმიანობა Covid-ის პერიოდის შემდეგ.
13. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეიწყოს კურსდამთავრებულებს კურსდამთავრებულთა ფორმალური ასოციაციის ჩამოყალიბებაში.
14. გაითვალისწინეთ სტუდენტების მოთხოვნა კაფეტერიის არსებობის შესახებ.
15. ბიბლიოთეკამ რეგულარულად მოამზადოს მოხსენება იმის შესახებ, თუ რამდენად იყენებენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ონლაინ მონაცემთა ბაზებს, რომლებიც გამოწერილი აქვს უნივერსიტეტს და წარუდგინოს ეს ანგარიში ფაკულტეტის საბჭოს.
16. ბიბლიოთეკამ რეგულარულად უნდა შეაგროვოს ინფორმაცია მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგებისა და მოხმარების მონაცემების შესახებ, თუ რამდენად მოიხმარს აკადემიური პერსონალი (მოწვეული პერსონალის ჩათვლით) და სტუდენტები მის მომსახურებებს და როგორ ხედავენ სამომავლო განვითარების საჭიროებებს.
17. დაასრულეთ უნივერსიტეტის ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის შემუშავება, ყველა საჭირო ინფორმაციით უნივერსიტეტის საერთაშორისო დონეზე წარდგენისათვის.
18. გადახედეთ შემოსავალებსა და ხარჯებს, როდესაც მეტი ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი ახალი პროგრამების შეთავაზების შესახებ, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებების და ჩარიცხული სტუდენტების მოსალოდნელი რაოდენობის გათვალისწინებით.
19. გაიზარდოს ბიუჯეტი კვლევებისა და ინტერნაციონალიზაციისთვის უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის მხარდასაჭერად.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ის მისია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2	სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4	უსდ-ის პერსონალი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6	კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7	მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. პანდელის იპსილანდისი (თავმჯდომარე);
2. რუსუდან თაყაიშვილი (წევრი);
3. თამარ ძველაია (წევრი);
4. დიანა მჭედლიშვილი (წევრი);
5. დავით ტეფნაძე (წევრი).

კანდიდატი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

<p>1.1 უსდ-ის მისია</p>
<p>უსდ-ის მისია შესაბამისობაშია საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებთან, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.</p>
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>„მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების“ დამფუძნებლის გადაწყვეტილებით (<i>საქართველოს საპატრიარქოს 2023 წლის 13 თებერვლის ოქმი - საქართველოს საჯარო რეესტრის სააგენტოს 2023 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით NB23024383/3</i>) შეიძლება მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, სახელწოდებით „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი“ (შემდგომში – „გალობის უნივერსიტეტი“).</p> <p>ამ ცვლილების მთავარი მიზეზი ის არის, რომ „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო“ სტატუსიდან საერო უმაღლეს სასწავლებლებზე გადასვლა მოხსნის ამჟამინდელი სტატუსით დაწესებულ შეზღუდვებს აკადემიურ სფეროებზე, უფრო კონკრეტულად, იმ აკადემიურ პროგრამებზე, რომელთა შემოთავაზებაც შეუძლია დაწესებულებას; უნივერსიტეტს შეეძლება პროგრამების შემდგომი განვითარება და მათი შემოთავაზება ისეთ სფეროებში, როგორცაა მუსიკოლოგია, ქართული ტრადიციული მუსიკა, ლოტბარი - ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებელი და ა.შ.; ასევე ეს ხელს შეუწყობს სამეცნიერო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის სფეროების გაფართოვებას, მოიზიდავს მეტ სტუდენტს/მკვლევარს სამაგასტრო და მოგვიანებით, სადოქტორო პროგრამებზე; ამ გზით დაწესებულებას შეეძლება გაზარდოს მისი ზეგავლენა ქართული რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ხელშეწყობის საქმეში.</p> <p>გალობის უნივერსიტეტის მისიის განცხადება ფორმალურად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში და საჯაროდ ხელმისაწვდომია მის ვებგვერდზე, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. უნივერსიტეტის მისია ასახავს მისი წინამორბედის, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ღირებულებებს, ამავდროულად, მისიწრაფვის უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქართული ტრადიციული მუსიკისა და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის სხვა ასპექტების პოპულარიზაციაში.</p> <p>მისიის მიხედვით, ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ძლიერ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრად ქცევით, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიციული ხელოვნების დაცვას და განვითარებას სამოქალაქო საზოგადოებაში ეროვნული ფასეულობების დანერგვისა და განმტკიცების მიზნით, ქართული ტრადიციული კულტურის პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით და მის ინტეგრაციას საერთაშორისო ხელოვნების სფეროებში საზოგადოებისთვის უმაღლესი და უწყვეტი განათლების შეთავაზებითა და მიწოდებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კონკურენტუნარიან</p>

მუშაკებად ჩამოყალიბებას, რომლებიც ატარებენ ეროვნულ და საყოველთაო დემოკრატიულ ღირებულებებს.

რექტორთან, მთავარ ადმინისტრატორთან, ფაკულტეტის დეკანთან, ასევე დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა გამოავლინა უნივერსიტეტის მზადყოფნა, რომ შეასრულოს თავისი მისია.

გამოკითხულმა დამსაქმებლებმა, რომლებიც წარმოადგენენ დარგის რამდენიმე საკვანძო ორგანიზაციას, როგორცაა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრი, ცნობილმა ანსამბლებმა, რომლებსაც ძლიერი კავშირი აქვთ უნივერსიტეტთან, ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტის სტატუსის შეცვლა დადებითად იმოქმედებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე დარგის განვითარებაზე, შესაძლებელი იქნება მეტი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და შეიქმნება დამატებითი შესაძლებლობები ისეთი კვლევით სფეროებში, როგორცაა ეთნომუსიკოლოგია.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დარგის საუკეთესო პროფესიონალები არიან და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტმა თავისი წინარე ფორმით „სასულიერო მუსიკა პროფესიად აქცია.“

უმალეს სასწავლებელს ძლიერი რეგიონული მასშტაბები აქვს თავის საქმიანობაში და იღებს მოსწავლეებს მუსიკალური სკოლებიდან, რომლებიც ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეგიდით ფუნქციონირებენ რეგიონებში, რომელიც ასაქმებს კურსდამთავრებულებს დირიჟორებად მუსიკალურ სკოლებში.

მიუხედავად იმისა, რომ უმალესი სასწავლებელი ასაქმებს მრავალ პროფესიონალს აკადემიურ და მოწვეულ მუშაკებად და პირდაპირაა ჩართული პროფესიულ სფეროში, უნივერსიტეტისთვის მაინც მომგებიანი იქნება თუ განიხილავს ადგილობრივ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციას და „პროფესიული საკონსულტაციო კომიტეტის“ ფორმირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფაკულტეტის დეკანთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები იძლევა მტკიცებულებას, რომ უნივერსიტეტის მისია განიხილებოდა პერსონალის ძირითად წევრებთან, რომლებიც იზიარებენ ხედვას, რომ დაწესებულება შეიძლება გახდეს პრესტიჟული უნივერსიტეტი კონკრეტულ სფეროში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მთლიანობაში, უნივერსიტეტის მისია და ხედვა სრულად განსაზღვრავს უნივერსიტეტის მახასიათებლებს, მისი ტიპისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საეკლესიო გალობის უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიის პროექტი (დანართი 1)
- გალობის უნივერსიტეტის ვებგვერდი
- უნივერსიტეტის წესდება
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები რექტორთან, ფაკულტეტის დეკანთან, ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- რჩევები:
 - განიხილეთ ადგილობრივ პროფესიონალებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია, „პროფესიული საკონსულტაციო კომიტეტის“ ორგანოს ჩამოყალიბება უსდ-ის დამფუძნებლებთან და უმალესი ადმინისტრაციის ორგანოებთან.

<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შესაბამეობა მოთხოვნებს</p>
<p>1.2 სტრატეგიული განვითარება</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმები (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, დაწესებულებაში მიღებულ ცოდნას უზიარებს საზოგადოებას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტმა შეიმუშავა 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა (2023-2029 წწ.) უნივერსიტეტის ოფიციალურ დოკუმენტში - „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (პროექტი), რექტორის ბრძანება #8/24.02.2023“, აღწერილი დებულებების შესაბამისად. შესაბამისად, რექტორის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა სტრატეგიული გეგმის შემუშავების ჯგუფი, როგორც დროებითი ორგანო, რომელშიც შევიდნენ ადმინისტრაციული, აკადემიური და სტრუქტურული ერთეულებისა და ფაკულტეტის წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროექტი გაზიარებული და განხილული იქნა შიდა საუნივერსიტეტო და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რაც დადასტურდა კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს. მიღებული გამოხმაურების მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის საბოლოო ვერსია ჩამოყალიბდა და დაამტკიცა უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭომ.</p> <p>სტრატეგიული გეგმა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მისი მთავარი მიზანია გადასვლა „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი სასწავლებლის“ სტატუსიდან საერო უნივერსიტეტის სტატუსზე.</p> <p>უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ობიექტური და რეალისტური SWOT ანალიზის შედეგებს, ეხება 8 სტრატეგიულ ინიციატივას, რომელიც მოიცავს ამოცანებს, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. კერძოდ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარება; მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება და სტუდენტების ჩართულობა ინსტიტუციური გამლიერების საქმეში; 3. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; 4. საგანმანათლებლო გარემოს, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება; 5. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება და ქართული ტრადიციული, ქრისტიანული ღირებულებების სოციალიზაცია; <p>5 სტრატეგიული ინიციატივიდან თითოეულისთვის განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ ინდიკატორებთან და ვადებთან. განხილულია ამოცანები, რომლებიც ეხება გასაუმჯობესებელ სფეროებს, როგორც ეს იყო გამოვლენილი SWOT ანალიზში.</p> <p>სამწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს იმ კონკრეტული აქტივობების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა განხორციელდეს სამი წლის ვადაში, სტრატეგიულ გეგმაში ასახული თითოეული სტრატეგიული ამოცანის შესამაბისად, რითაც ყალიბდება სტრატეგიული ინიციატივების, სტრატეგიული ამოცანებისა და აქტივობების იერარქიული სტრუქტურა.</p>

თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია განსახორციელებელი დრო, პასუხისმგებელი ერთეული, შესრულების კრიტერიუმები, საჭირო რესურსები და მითითებულია ბიუჯეტი. ამრიგად, იოლად ხდება მთელი სტრუქტურის კონტროლი და მონიტორინგი.

თითოეული საქმიანობისთვის საჭირო ფინანსური რესურსი დეტალურადაა გაწერილი 2023 და 2024 წლების ბიუჯეტების დანართებში.

როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმები მოიცავს დეტალურ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ამოცანების დაგეგმვისა და კონტროლისთვის, როგორც ეს მანამდე იყო ახსნილი. უნივერსიტეტის დოკუმენტში „სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია“ დეტალურად არის აღწერილი განხორციელების პროცესის მონიტორინგი. განხორციელების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად შეიქმნა დროებითი ერთეული სახელწოდებით „პროექტის მენეჯმენტის სამსახური“, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების მენეჯმენტს გარდამავალ პერიოდში. მონიტორინგის პროცესის შედეგები წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამის ანგარიშში, სადაც მითითებული იქნება სტრატეგიულ განვითარებაში/სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელების საჭიროებები და შესაბამისი ცვლილებები პროექტში. სამეთვალყურეო საბჭო, წარმოდგენილი პროექტის შინაარსის გათვალისწინებით, ამტკიცებს მას ან ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების გადახედვას და ცვლილებების აუცილებლობის შესახებ მოსაზრებების წარმოდგენას. ვინაიდან ეს პროცესი ჯერ კიდევ პროექტის სტატუსით მიმდინარეობს, ჯგუფმა ვერ შეაფასა წლიური გადასინჯვის პროცესი, რადგანაც სტრატეგიული გეგმა ძალაში შევიდა ამ წლის დასაწყისში.

ჯგუფმა შენიშნა გარკვეული შეუსაბამობები სამოქმედო გეგმასა და დანარჩენ დოკუმენტაციას შორის. მაგალითად, სამოქმედო გეგმის მიხედვით 2023 წლის პირველ ორ კვარტალში იგეგმებოდა სამაგისტრო პროგრამის შემუშავება „ქართული ტრადიციული მუსიკა“, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კი პროგრამა წარმოდგენილია როგორც „ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარი– შემსრულებელი“. როგორც ჩანს, პროგრამას „ხელოვნების მაგისტრი ქრისტიანობის ისტორიაში“ ახალ სტრუქტურაში არარსებული „საეკლესიო მუსიკის ფაკულტეტი“ გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება იყოს და ალაბთ არის, მხოლოდ უმნიშვნელო ადამიანური შეცდომები, მათ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეთ საერთაშორისო თანამშრომლობის კონტექსტში, თუ ისინი საჯარო დოკუმენტებში გამოჩნდება.

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს უნივერსიტეტის გულწრფელ ინტერესს საზოგადოებაში წვლილის შეტანაში, რასაც მოწმობს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში შეტანილი შესაბამისი აქტივობები, როგორცაა: მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა „ა. ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი“, საჯარო სკოლები - სიმღერის წრეების ფუნქციონირებისათვის, საქართველოს რეგიონების მუნიციპალიტეტები - ქართული ტრადიციული სიმღერისა და ხალხური მუსიკის ხელოვნების განვითარების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით, „საქართველოს ეროვნული არქივი“, „კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,“ „საქველმოქმედო ფონდი „ქართული სიმღერა“ ქართული ტრადიციული მუსიკის სფეროში სამეცნიერო კვლევების დასაფინანსებლად/თანადაფინანსებისთვის. გალობის უნივერსიტეტი ასევე ჩართულია ღონისძიებებში, რომელთა მიზანია დაგროვილი ცოდნის გავრცელება და საზოგადოების კულტურული განვითარების ხელშეწყობა; მაგალითად, წლიური საანგარიშო კონცერტების ჩატარება,

კონცერტების დაგეგმვა/ორგანიზება/მასტერკლასები/ვორქშოფები/ფესტივალები/კრეატიული სადამოებნი/იუბილეები/კონკურსები/საჯარო ლექციები საქართველოს დედაქალაქსა და

სხვადასხვა რეგიონში, ღონისძიებების ვიდეომასალის გავრცელება ციფრულ მედიაში, სადღესასწაულო მსახურება ეპარქიებში - ლოცვაში მონაწილეობა, საუნივერსიტეტო გამოცემების (სამეცნიერო შრომების კრებულები, სახელმძღვანელოები, აუდიო დისკები, მუსიკალური კრებულები და ა.შ.) საზოგადოებში გავრცელება.

უნივერსიტეტი ასევე დაინტერესებულია ცოდნის აქტიური გაზიარებით აკადემიური განათლების საზღვრებს მიღმა უწყვეტი განათლების (Life Learning) კურსების დაარსების გზით. უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ფაკულტეტის დეკანმა ახსენა გარკვეული სფეროები, როგორცაა ტრადიციული ხელოვნება, მუსიკა, ტრადიციული კულტურები საქართველოში მცხოვრები უცხოელებისთვის, შესაძლოა, მუსიკალური თერაპიის მოდულიც კი, სადაც შესაძლებელია უწყვეტი განათლების კურსების შეთავაზება.

სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია ინდიკატორების კრებული და მათი მიზნობრივი მნიშვნელობები 2027/28 წლებში, რომლებიც ასახავს უნივერსიტეტის ზრდას 2023 – 2028 წლებში. პანელი აღიარებს ზრდის ინდიკატორების დადგენის კარგ პრაქტიკას, მაგრამ აღნიშნავს გარკვეულ ბუნდოვანებას სტრატეგიულ გეგმაში მოცემულ ქმედებებს, მიზნობრივ მაჩვენებლებსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტს შორის, განსაკუთრებით ხელფასებთან დაკავშირებით. მაგალითად, სტრატეგიული გეგმისა და მიზნობრივი ინდიკატორების მიხედვით, პროგნოზირებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის ზრდა 12 ერთეულით (4 აკადემიური/8 მოწვეული) 2025 წლისთვის, თუმცა სამოქმედო გეგმაში ახალი კადრების დაქირავებასთან დაკავშირებული ქმედება არ არის გათვალისწინებული და აკადემიური პერსონალის სახელფასო ბიუჯეტში იგივე თანხებია მითითებული 2024–2025 წლებისთვის, რაც 2023 წელს.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030) და სამოქმედო გეგმა (2023-2026)
 - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (რექტორის ბრძანება #8/24.02.2023)
 - უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი და 2024-2026 წლების პროგნოზები
 - თვითშეფასების ანგარიში
 - უნივერსიტეტის სტრუქტურა
 - ინტერვიუები რექტორთან, ფაკულტეტის დეკანთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, პროექტების მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან

- რეკომენდაციები:**
- უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა სტრატეგიულ გეგმას, სამიზნე ინდიკატორებსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტს შორის;
 - სამოქმედო გეგმაში ჩართეთ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დასაქმების დებულებები და ამოცანები.

რჩევები:

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად, უზრუნველყავით მონიტორინგისა და რეაგირების მექანიზმების დანერგვა, როგორც ეს აღწერილია.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ შეესაბამება მოთხოვნებს

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნების შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დაარსებული არაკომერციული იურიდიული პირი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უფლება აქვს განსაზღვროს მისი სტრუქტურა და მმართველი ორგანოები „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. დაწესებულების მართვა ხორციელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტების საფუძველზე.

დაწესებულების დამფუძნებლის 2023 წლის 13 თებერვლის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 22 თებერვლის NB 23024383 გადაწყვეტილების საფუძველზე, ოქმის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, გარდამავალ პერიოდში დაწესებულების სტატუსის შეცვლისა და ავტორიზაციისთვის მომზადების მიზნით გალობის უნივერსიტეტში დამტკიცდა საშტატო ნუსხა და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტები, ასევე სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები (რექტორის ბრძანება #O/09 – 24.02.2023, სამეთვალყურეო საბჭო დადგენილება #04 – 03.07.2023 წ.), რომლის განხორციელებასაც აპირებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში.

ფუნქციურად აგებული სტრუქტურისა და სუბორდინაციისა და კოორდინაციის პრინციპებიდან გამომდინარე, ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტში ნაჩვენებია გალობის უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და მართვის ორგანოები, რომლებიც გამიზნულია პროექტის განსახორციელებლად მისი დადასტურების შემთხვევაში, რაც ემსახურება სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნების შესრულებას. სტრუქტურა განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, გალობის უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულის დებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლის სხვა შესაბამისი რეგულაციების პროექტების შესაბამისად. სუბორდინაციულ სტრუქტურებს/ერთეულებს შორის მკაფიოდაა წარმოჩენილი მათი უფლებამოსილებები, რამაც უნდა უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულებისთვის დაკისრებული საქმიანობის, როლებისა და მოვალეობების ეფექტურად შესრულება. აღნიშნულია, რომ ავტორიზაციის მიღებისთანავე დამტკიცდება და ამოქმედდება ახალი რეგულაციები, რომლებიც ახლა წარმოდგენილია პროექტის სახით.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული სქემის მიხედვით, ორგანიზაციული მმართველობა შედგება შემდეგი ფუნქციური ერთეულებისგან: მმართველი ორგანოები (management bodies) და ხელმძღვანელი ორგანოები (governing entities), ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტი, ბიბლიოთეკა და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები. ავტორიზაციის მიღების შემდეგ

დაწესებულება გეგმავს სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის ოპტიმიზაციას. გადლიერდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დაემატება სპეციალისტის კადრები; მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაემატება ორი სამტატო ერთეული - სასერთიფიკატო პროგრამების მენეჯერი და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების ოფისის მენეჯერი; შეიქმნება ახალი სტრუქტურული ერთეულები: იურიდიული ოფისი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის ოფისი და კანცელარია, ფინანსური სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, შესყიდვების სამსახური და სამედიცინო მომსახურება.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების მხარდაჭერა, კარიერული განვითარება და დასაქმების სერვისები სტრუქტურაში არ განიხილება როგორც ცალკე ერთეული. ნაცვლად ამისა, მენეჯმენტი აპირებს დაიქირაოს ერთი თანამშრომელი, რომელიც შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებსა და მოვალეობებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გარდა რექტორის პასუხისმგებლობისა, რომ მეთვალყურეობა გაუწიოს საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ანგარიშს წარუდგენს ასევე ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. გამოსადეგი იქნება, თუ უმაღლესი სასწავლებელი გადახედავს ორგანიზაციულ სქემას და/ან სტრუქტურული ერთეულების დებულებებს მის განხორციელებამდე, რათა უზრუნველყოფილი იქნას პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების მკაფიო და ეფექტური განაწილება.

გალობის უნივერსიტეტის უმაღლესი მმართველი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. რექტორი არის უსდ-ის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტს, ახორციელებს მართვის საკითხებს; კოორდინაციას უწევს გალობის უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრულ ყოველდღიურ აკადემიურ, სამეცნიერო, საფინანსო-ეკონომიკურ, ტექნიკურ და სხვა საქმიანობას; მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესს; ხელს აწერს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტის სახელით. ადმინისტრაციის უფროსი მართავს უმაღლესი სასწავლებლის ფინანსურ, მატერიალურ და ადმინისტრაციულ საკითხებს. ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი არის უსდ-ის მთავარი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, სამეცნიერო კვლევით საქმიანობას და სხვა საგანმანათლებლო საკითხს. ფაკულტეტის მმართველი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს დეკანი. ბიბლიოთეკა არის გალობის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და კვლევით რესურსებს, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტური თვითმმართველობა არის უმაღლესი სასწავლებლის ორგანიზაციული სტრუქტურის ერთეული. ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირებას, რომელიც მიიღებს მონაწილეობას ფაკულტეტის მართვის პროცესში და ამავდროულად დამოუკიდებლად წარმართავს თავის საქმიანობას.

ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ არც ისე ბევრი სტრუქტურული ერთეულია ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დაწესებულება გეგმავს აკადემიური საბჭოს შექმნას, რომელშიც ასევე შევლენ ფაკულტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები. ეს იქნება გარანტი იმისა, რომ მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულები მონაწილეობას მიიღებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მართვის სისტემის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად დამტკიცდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა (რექტორის ბრძანება

#O/22 - 01.05.2023წ.), რომელიც განხორციელდება ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში. მოგვიანებით, მონიტორინგის შედეგები გამოყენებული იქნება გალობის უნივერსიტეტის მიერ მისი შემდგომი განვითარების მიზნით.

უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარეობს დოკუმენტების დამუშავების ელექტრონული სისტემის (e-Flow) დანერგვის პროცესი, რომელიც მოიცავს დოკუმენტების სკანირებას, კორესპონდენციის გაგზავნას, ელექტრონული დოკუმენტების გაცვლას შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის და ა.შ ამჟამად, 7 მომხმარებლის ლიცენზიაა შეძენილი 2023 წლის 31 დეკემბრამდე, რის შემდეგაც კონტრაქტი ავტომატურად გაგრძელდება. მომხმარებელთა რაოდენობა მომავალი წლიდან გაიზრდება. შესაბამის პერსონალს გაეწია ტრენინგი და სისტემა სატესტო რეჟიმში ამოქმედდა. დღესდღეობით, პროცედურა ეფუძნება დოკუმენტურ ფორმატს.

დაწესებულებაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი ბიზნესპროცედურის შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, უსდ-მ შეიმუშავა გეგმის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ძირითადი ბიზნეს პროცესის უწყვეტობას. გათვალისწინებულია პოტენციური რისკები და მათი პრევენციის მეთოდები.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში დანიშნვის პროცედურების მარეგულირებელი დოკუმენტი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, რომლებიც უზრუნველყოფს მისი და სტრატეგიული მიზნების მიღწევას მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი სასწავლებლის სტატუსიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსზე გადასვლის შემდეგ და მათ პრაქტიკაში დანერგვას. ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტაცია უსდ-ის მარეგულირებელი წესების პროექტის სახით, რომელთაც კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზაციის გავლის შემდეგ მოქმედებაში მოიყვანს გალობის უნივერსიტეტი. აღნიშნული წესების კანონიერ ძალაში შესვლის მექანიზმები იყო გათვალისწინებული და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტი;
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელთა ოფიციალური ინსტრუქციების პროექტი;
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების პროექტი;
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულირების პროექტი;
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის პროექტი;
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის დებულების პროექტი;
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პროექტი;
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინტერნალიზების პოლიტიკისა და მექანიზმის პროექტი;
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის პროექტი;</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ რეკომენდებულია ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეული ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ➢ როლებისა და მოვალეობების ეფექტური და გამჭვირვალე განაწილების უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, უმაღლესმა სასწავლებელმა გადახედოს თავის ორგანიზაციული წესდებებს და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს მათ განხორციელებამდე ისე, რომ გარანტირებული იყოს საქმიანობის ოპტიმიზაცია. ➢ უზრუნველყავით, რომ ყველა რეგულაცია, რომელიც ამჟამად დამტკიცებულია პროექტების სახით, პრაქტიკაში განხორციელდება
<p>რჩევები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ამოქმედდეს ელექტრონული დოკუმენტების დამუშავების სისტემა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს
<p>2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ დაწესებულებას აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ავტორიზაციისათვის მოსამზადებელ გარდამავალ პერიოდში გალობის უნივერსიტეტში შემუშავდა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტის პროექტი. აღნიშნულ დოკუმენტს დაწესებულება განხორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემდეგ.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა მოიცავს შვიდ ძირითად მიმართულებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; 2. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება; 3. უნივერსიტეტში პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი და პროფესიული საქმიანობის ხარისხის განვითარება; 4. ინტერნაციონალიზაციის ხარისხის განვითარება; 5. საზოგადოების განვითარებაში უნივერსიტეტის ჩართულობის ხარისხის ამაღლება; 6. უნივერსიტეტში სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების ხარისხის ამაღლება; 7. საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი განვითარება; <p>საგანმანათლებლო და კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შესაფასებლად, შეფასების შედეგების გასაანალიზებლად და სწავლა/სწავლების და კვლევითი/შემოქმედებითი</p>

საქმიანობის გასაუმჯობესებლად დაინერგება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც გადამწყვეტ როლს შეასრულებენ დაგეგმვის, მართვის და მონიტორინგის პროცესებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან შემდეგი ამოცანების განსახორციელებლად: სასწავლო და კვლევით-სამეცნიერო პროცესების მაღალი ხარისხი; ხარისხის შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა სწავლებისა და სწავლის პროცესში; საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება მონაცემთა შეგროვებითა და ანალიზით; კვლევის შედეგების ასახვა სასწავლო და სამეცნიერო-შემოქმედებით პროცესებში მათი ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით; ხარისხის კონტროლის ციკლის ეფექტური სისტემის "PDCA" დანერგვა ყველა დონეზე. თუმცა, ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ბოლო ეტაპებში ერთვება. მას შემდეგ, რაც პროგრამას შეიმუშავენ პროგრამის ხელმძღვანელი, მას ამტკიცებს ფაკულტეტი, შემდეგ კი ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უკუკავშირისთვის. ეს პროცესი შეიძლება ხარისხის კონტროლად უფრო ჩაითვალოს, ვიდრე ხარისხის უზრუნველყოფად.

უნივერსიტეტმა შექმნა გამოკითხვის ფორმები ყველა ჩართული დაინტერესებული მხარისათვის, მაგრამ ისინი ჯერ არ ამოქმედებულა, კმაყოფილებისა და გამოკითხვების კითხვარი მხოლოდ მრგვალი მაგიდის ფორმატშია ხელმისაწვდომი. არ არის მოწოდებული საანალიზო დოკუმენტები და ხარისხის შეფასების შედეგები.

ამგვარად, დაგეგმილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და შიდა მექანიზმების პრაქტიკაში ამოქმედება გააუმჯობესებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობას და ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებას გალობის უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია. სტუდენტური კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმებია: ადამიანური რესურსები (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი); მატერიალური რესურსები (უნივერსიტეტის სასწავლო და დამხმარე ფართის საერთო რაოდენობა); საკლასო ოთახებში სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი ადგილების რაოდენობა; საინფორმაციო რესურსები; და ფინანსური რესურსები. თუმცა, მეთოდოლოგიას აკლია გაზომვადი ინდიკატორები, სამიზნე ნიშნულები და გამოთვლის ფორმულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პროექტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა და მათი ეფექტურობის შეფასება;
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
- სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმებისა და მეთოდოლოგიის პროექტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წესდების პროექტი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ფილოსოფია, ხარისხის კონტროლისგან განსხვავებით, გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მთელი პროცესის განმავლობაში.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების მიზნითა და უნივერსიტეტში მაღალი ხარისხის კულტურის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად, განახორციელეთ დაგეგმილი ხარისხის პოლიტიკა და შიდა მექანიზმები.
- უზრუნველყავით, რომ სტუდენტური ორგანოს დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს დაწესებულების მიერ დამტკიცებულ გაზომვად ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.

რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატიზმის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის მიზანია მიაღწიოს სწავლის/სწავლების და კვლევით-შემოქმედებითი საქმიანობის მაღალ ხარისხს და მოიპოვოს აღიარებული ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული ხედვის განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა სამეცნიერო-კვლევით, შემოქმედებით და საგანმანათლებლო საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დანერგვა. ამისათვის უსდ-მ შეიმუშავა და დაამტკიცა „გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეთიკის კოდექსის“ პროექტი, “გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პლაგიატის გამოვლენის, მის აღკვეთისა და რეაგირების წესების“ პროექტი. ეს დოკუმენტები ეცნობა უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს. დოკუმენტები განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ტიპებს, პლაგიატის თავიდან აცილების გზებს და აღმოჩენის შემთხვევაში დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურებსა და სანქციებს.</p> <p>უსდ იყენებს Turnitin პროგრამას, რომელიც ეხმარება გამოავლინოს პლაგიატის შემთხვევები და ტექსტის მსგავსება აკადემიურ ნაშრომებში. აკადემიური წერის კურსში ესეები მოწმდება ამ პროგრამის გამოყენებით. ამგვარად, პლაგიატის წინააღმდეგ მიმართული პროცესები დაწყებულია და უნდა დაინერგოს და გავრცელდეს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ცნობიერების ასამაღლებლად და აკადემიური არაკეთილსინდისიერების თავიდან ასაცილებლად.</p> <p>უსდ აცხადებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისადმი ერთგულებას. უნივერსიტეტის საზოგადოებისთვის ცნობილია და იზიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.</p>

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ეთიკის კოდექსის პროექტი • პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების წესების პროექტი • შიდა რეგულაციების პროექტი • უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გაზარდეთ ინფორმირებულობა და თავიდან აიცილეთ აკადემიური არაკეთილსინდისიერება; დარწმუნდით, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები გამოიყენება და გადაწინააღმდეგობა უნივერსიტეტის საზოგადოებაში.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p>

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მისიის პროექტი ასახავს იმ ფუნქციებს და მნიშვნელობას, რომელიც უნდა ჰქონდეს მომავალ უნივერსიტეტს სტატუსის დაგეგმილ ცვლილებასთან ერთად:

„მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიციული ხელოვნების დაცვა და განვითარება სამოქალაქო საზოგადოებაში ეროვნული ფასეულობების დანერგვისა და განმტკიცებისათვის.

ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ძლიერი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბება, უნიკალური ქართული ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია მთელ მსოფლიოში და მისი ინტეგრაციის უზრუნველყოფა საერთაშორისო ხელოვნების სფეროებში.

საზოგადოებისთვის უმაღლესი და უწყვეტი განათლების შეთავაზება და მიწოდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, როგორც ეროვნული და საყოველთაო დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი მუშაკების, მომზადება.“

წარმოდგენილმა დოკუმენტმა, ადგილზე ვიზიტმა და გასაუბრებებმა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ცხადყო, რომ უმაღლეს

სასწავლებელს უკვე აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება და დანიშნულება ამ სფეროში. განხორციელდა მრავალი აქტივობა სხვადასხვა მიმართულებით - თანამშრომლობა ყველა მნიშვნელოვან მომიჯნავე ინსტიტუტთან ქვეყნის ფარგლებში, კონცერტების, ღონისძიებებისა და კონფერენციების ორგანიზება და მხარდაჭერა, ასევე დაიწყო და გარკვეულწილად შეფერხდა საერთაშორისო თანამშრომლობა (COVID-19), სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა და განვითარება, უწყვეტი სწავლის პროცესის ხელშეწყობა, სპეციალური პროექტები, როგორცაა მსჯავრდებულთა გუნდის მხარდაჭერა, რომელსაც ხელმძღვანელობს უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრატურის სტუდენტი. გარდა ამისა, კურსდამთავრებულები ადასტურებენ სკოლის როლსა და მნიშვნელობას თავიანთი შრომითა და შემოქმედებით, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი დამოკიდებულება უმაღლეს სასწავლებლების მიმართ, რომელშიც იგრძნობა მიკუთვნების გრძნობა და დიდი მადლიერება.

თუმცა, გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოტენციალი, ამბიცია და შესაძლებლობები დღევანდელ ფორმატში, როგორც მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი სასწავლებლის, არ იძლევა განვითარებისა და გაფართოების შესაძლებლობას; ამიტომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (საქართველოს საპატრიარქოს 2023 წლის 13 თებერვლის ოქმი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება NB23024383/3) გადის ავტორიზაციის პროცესს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოსაპოვებლად, როგორც გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი.

ორი არსებული სასწავლო პროგრამის - საბაკალავრო პროგრამა „ქართული ტრადიციული მუსიკა“ და „მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა)“, განახლების გარდა, შემუშავდა ორი ახალი სამაგისტრო პროგრამა - „ქართული ტრადიციული მუსიკის დირიჟორ-შემსრულებელი“ და „ქრისტიანობის ისტორია.“ როგორც ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაშია აღნიშნული, „საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას, დარგობრივი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების შექმნას, სტუდენტზე ორიენტირებულ, მოქნილ სასწავლო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტების მომზადებას განათლების დონის მიხედვით“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამები უზრუნველყოფს მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას და ყველა ეს პროგრამა აკრედიტაციაზე წარდგენილი იქნება ავტორიზაციის პროცესის შესაბამისად. „გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი“ მოიცავს ყველა იმ დებულებას, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და მიზნად ისახავს ხარისხის კულტურის ამაღლებას დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით. ასევე, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს.

თვითშეფასების ანგარიშიდან, ასევე პერსონალთან, კურსდამთავრებულბთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებიდან ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ უნივერსიტეტი ცდილობს თავისი პროგრამები ბაზრისა და ეროვნული ეკონომიკის საჭიროებებს შეუსაბამოს უნივერსიტეტის, მისი მისიის, საერთო საჭიროებებისა და აკადემიური პერსონალის პედაგოგიური და კვლევითი სიძლიერების დაბალანსებით. უმაღლესმა სასწავლებლებმა ასევე უნდა განიხილოს შედარება მსგავსს პროგრამებთან საქართველოში და საერთაშორისო დონეზე, პროგრამის დაგეგმვისა და განხილვის პროცესში, რაც ასევე ხელს შეუწყობს ინსტიტუტის პოტენციალის გაზრდას საერთაშორისო კავშირებისა და თანამშრომლობის გაზრდის მიზნით. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, როგორც ეს

მტკიცებულებების/ინდიკატორების სეგმენტშია მოცემული ქვემოთ, პირდაპირ ეხება ახალი სტატუსის მოსაპოვებლად მიმდინარე პროცესს.

სასწავლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მე-6 (BA) და მე-7 (MA) დონეებს. დოკუმენტების ანალიზის, ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ უმაღლესი სასწავლებელი უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცოდნის, უნარებისა და დამოუკიდებულებების ერთიანობით. საორიენტაციო მაგალითი, რომელიც აჩვენებს ერთ-ერთი პროგრამის შედეგების შესაბამისობას კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან, მე-7 დონის კვალიფიკაციის აღმწერი წარმოდგენილია მუსიკოლოგიის (ქართული ტრადიციული მუსიკა) განახლებული სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში „ავტონომია და პასუხისმგებლობა“:

- მულტიკულტურულ გარემოში ავლენს პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს, საკუთარი პროფესიული პრაქტიკის მაგალითზე, ხელს უწყობს სხვა ხალხების სასიძლერო კულტურისა და მუსიკალური ფოლკლორული ტრადიციების შენარჩუნებას;
- დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს საკუთარ და სხვების შემდგომ სასწავლო და პროფესიული განვითარების აქტივობებს, რომელიც პასუხობს და, ფაქტობრივად, სრულად შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს აღმწერს - „ავტონომია და პასუხისმგებლობა“, დონე 7: „რთულ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო და/ან სამუშაო გარემოსთან ადაპტირება და მართვა ახალი სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. პასუხისმგებლობის აღება სხვათა სამუშაოსა და პროფესიულ განვითარებაზე; თვითგანათლების პროცესის დამოუკიდებლად მართვა“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა
- მისიის პროექტი
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა
- დებულება გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შესახებ

რეკომენდაციები:

<p>რჩევები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის დაგეგმვისა და განხილვის პროცესში გაითვალისწინეთ შედარება მსგავსს პროგრამებთან საქართველოში და საერთაშორისო დონეზე, რაც ასევე ხელს შეუწყობს ინსტიტუტის პოტენციალის გაზრდას საერთაშორისო კავშირებისა და თანამშრომლობის გაზრდის მიზნით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p>
<p>3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>დაწესებულება განსახილველად წარმოგვიდგენს 4 პროგრამას - ორი მათგანი უკვე შემოთავაზებული და წარმოდგენილია განახლებული ფორმით, ხოლო ორი სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია პროექტების სახით ახალი სასწავლო პროგრამების ფარგლებში. შინაარსისა და დანიშნულების თვალსაზრისით, ისინი შეესაბამება დაწესებულების, როგორც მომავალი უნივერსიტეტის, ახალი სტატუსის ხედვას. ექსპერტთა ჯგუფმა დასვა რამდენიმე კითხვა მეოთხე პროგრამასთან – „ქრისტიანობის ისტორია“ დაკავშირებით. თუმცა დოკუმენტაციისა და ინტერვიუებიდან ნათელი გახდა მისი თავსებადობა მომავალი უნივერსიტეტის მისიასთან. აღსანიშნავია, რომ ოთხივე პროგრამა ქართულ ენაზეა.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამები წარმოდგენილია უმაღლესი სასწავლებლის მიერ შემუშავებული ფორმით. პროგრამების დიზაინი და სტრუქტურა შეესაბამება სტანდარტს. თითოეული პროგრამა მოცემულია კურიკულუმის სახით და მასში შემავალი სასწავლო კურსები შემდეგნაირად ნაწილდება: ძირითადი კომპეტენციის სავალდებულო, ძირითადი კომპეტენციის არჩევითი, ფაკულტეტის სავალდებულო, ფაკულტეტის არჩევითი. თითოეული კურიკულუმი ნათლად აღწერს კონკრეტულ პროგრამას ძირითადი მახასიათებლების საფუძველზე. მაგალითად, საბაკალავრო პროგრამის „ქართული ტრადიციული მუსიკა“ აღწერითი ნაწილია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პროგრამის სახელწოდება 2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მუსიკალური ხელოვნების ბაკალავრი - ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობა (დირიჟორი/რეგენტი) ქართული ხალხური და სასულიერო მუსიკის დირიჟორობა 3. პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 კრედიტი <ul style="list-style-type: none"> • ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 172 კრედიტი • ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები - 20 კრედიტი • ფაკულტეტის სავალდებულო კურსები - 40 კრედიტი • ფაკულტეტის არჩევითი კურსები - 8 კრედიტი 4. ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი <p>აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 30 კვირას - 15 აკადემიურ კვირას ყოველ სემესტრში.</p> <p>სასწავლო გეგმის ერთ-ერთი საკითხია, აკმაყოფილებს თუ არა პროგრამებზე დაშვების</p>

წინაპირობები არსებულ რეგულაციებს. ადმინისტრაციასთან ინტერვიუებმა და პროგრამის აღწერილობების მიმოხილვამ აჩვენა, რომ უსდ–ს მიერ უნივერსიტეტის სტატუსით შემოთავაზებულ პროგრამებზე მისაღები პოლიტიკა განახლებულია და შეესაბამება რეგულაციებს. მაგალითად, სამაგისტრო პროგრამაზე „ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარი-შემსრულებელი“ მიღების წინაპირობაა:

- ბაკალავრის ხარისხი შესაბამის ან მომიჯნავე სფეროში ან აკადემიური ხარისხი, რომელიც ბაკალავრის ხარისხის ეკვივალენტურია.
- საერთო სამაგისტრო გამოცდა
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა მაგისტრის შემოქმედებითი ტური
- გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური B1)
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან უცხო ქვეყნის აღიარებულ უმაღლეს სასწავლებელში საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობით გადასვლა ხორციელდება დადგენილ ვადებში და დაწესებული პროცედურების შესაბამისად.
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის პრინციპით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში სავალდებულო პროცედურებითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.

პროგრამა ასევე მოიცავს დასაქმების სფეროს: მაგისტრატურის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან უმაღლესი და საშუალო დონის შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, მუსიკალურ-ფოლკლორულ კოლექტივებში ხელმძღვანელად, ან ანსამბლის წევრად, კულტურის ცენტრებში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრებში. პროგრამა იძლევა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე, დარგის შესაბამის და მსგავსი პროფილის სადოქტორო პროგრამაზე.

კურიკულუმში წარმოდგენილია პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების ჩამონათვალი, ECTS კრედიტები, საკონტაქტო საათები (ყოველკვირეული და სემესტრული); სასწავლო კურსზე მიღების წინაპირობები სწავლების სემესტრის მითითებით. მასში ასევე აღწერილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და, ბოლოს, საჭირო ადამიანური რესურსი, სადაც დაფიქსირებულია, რომ „პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი დარგის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს კურსით და პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. განხორციელებას ხელს უწყობს ფაკულტეტისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. დოკუმენტი მთავრდება პროფესორებისა და მასწავლებლების ჩამონათვალით მათი აკადემიური პოზიციის მითითებით.

თითოეული პროგრამა წარმოდგენილია სასწავლო კურსებით. უდიდესი ნაწილი, 75-80%, წარმოადგენს სავალდებულო კურსებს, რომელთა შინაარსი პირდაპირ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. მკაფიოდ არის განსაზღვრული პროგრამის ამოცანები და მათთან არის დაკავშირებული სწავლის შედეგები. სამი პროგრამა არის მუსიკალური პროგრამა, ხოლო ერთი ქრისტიანობის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, ქრისტიანობის ისტორიის მაგისტრის კვალიფიკაციით (MA in History of Christianity), რომელიც ინგლიურ ენაზე აღიწერება როგორც Master of Arts in History of Christianity. თუმცა, ეს თარგმანი არ არის სრულიად თანმიმდევრული და გარკვეულწილად სცილდება პროგრამის შინაარსს. აღწერილობის მიხედვით, ქრისტიანობის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის [მიზანი (ნაწილი)] არის: „ა. მოამზადოს კონკურენტუნარიანი მაგისტრი ღრმა და სისტემატური ცოდნით მეცნიერების შემდეგ დარგებში: ეკლესიის ისტორია, ქრისტიანული თეოლოგია,

ქრისტიანული ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა, ქრისტიანული ფილოლოგია, რელიგიათმცოდნეობა, ქრისტიანული ხელოვნების ისტორია და ა.შ."

სასწავლო კურსები, მიუხედავად მათი მრავალფეროვნებისა, არ არის საკმარისი ქრისტიანობის ისტორიაში ხელოვნების მაგისტრის კვალიფიკაციის მისაღებად (მხოლოდ 15 კრედიტი ეთმობა უშუალოდ ვიზუალური ქრისტიანული ხელოვნების შესწავლას სავალდებულო და არჩევითი კურსებით). ქრისტიანობის ისტორიის პროგრამის ფარგლებში მინიჭებული კვალიფიკაცია უნდა ფორმულირდეს, როგორც ქრისტიანობის ისტორიის მაგისტრი (MA in History of Christianity) დოკუმენტაციაში ორივე ენაზე.

მუსიკალური პროგრამები ინერგება და ხორციელდება სასწავლო კურსების მეშვეობით. ისინი მოიცავს ყველა კურსს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს პროგრამებთან. მაგალითად, ქართული ტრადიციული მუსიკის დირიჟორ-შემსრულებლის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებია:

აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერის შესრულების ოსტატობა 1, 2, 3; აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერის შესრულების ოსტატობა 1, 2, 3; ქართული ტრადიციული გალობის (აღმოსავლეთ საქართველო) შესრულების ოსტატობა 1, 2, 3 და ქართული ტრადიციული გალობის (დასავლეთ საქართველო) შესრულების ოსტატობა 1, 2, 3. ოთხივე დასახელებული დისციპლინა წარმოდგენილია სამი კურსით და დაყოფილია სამ სემესტრად. ასევე არსებობს სხვა სავალდებულო კურსები, როგორცაა ტრადიციული მუსიკის ნიმუშების დეკოდირება 1,2; მართლმადიდებლური საგალობლის სტრუქტურულ-ინტონაციური თავისებურებები; ქართული ტრადიციული მუსიკალური ენის თავისებურებები; მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორი (თეორია და პრაქტიკა) 1, 2; საველე მუშაობის პრაქტიკა; ხმის კონტროლი/ინსტრუმენტული მუსიკა; მუსიკალური გუნდის მართვის ხელოვნება (თეორია და პრაქტიკა); დირიჟორობის ხელოვნება 1, 2.

თავისუფალი კრედიტის სხვა კურსებია: ზეპირად გადმოცემული ქართული ფოლკლორი; ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორია; ლიტურგიკული ღვთისმეტყველება; დოგმატური თეოლოგია; მუსიკალური პალეოგრაფია; კოდიკოლოგიის საფუძვლები; არქეო ქორეოგრაფია; „მრგვალი ცეკვები“; კომპიუტერული აღნიშვნა; საქართველოს ეთნოლოგია და ა.შ. არსებობს არჩევითი კურსების ფართო სპექტრი სტუდენტების ინტერესების შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს სამ სემესტრს. მეოთხე სემესტრი ეთმობა შემოქმედებით პროექტს.

ექსპერტთა ჯგუფის თქმით, ყველა კურსი შესაბამისია და ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას და ჩამოყალიბებას მოცემული პროგრამების საშუალებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა პროგრამაში შემავალი სილაბუსები ვიზუალურად წარმოდგენილია ერთი და იმავე ფორმატში. მათი ვიზუალური სტრუქტურა, სადა და სასიამოვნო დიზაინი ხელს უწყობს მოცემული ინფორმაციის აღქმას. სილაბუსები კარგად არის სტრუქტურირებული, თითოეული საკითხი სრულად არის ჩამოყალიბებული და წარმოდგენილი: განათლების ეტაპი, კურსის სტატუსი, სემესტრი. ECTS კრედიტები, საკონტაქტო საათები, სახელწოდება, კვალიფიკაცია, სამუშაო პოზიცია, ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია, კონსულტაციის საათები, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლა-სწავლების მეთოდები, დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსის შინაარსი, შეფასება, სავალდებულო ლიტერატურა, დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი. ეს სქემა იგივეა.

გალობის უნივერსიტეტის ხედვაში ხაზგასმულია შესაბამისი დარგის პროფესიონალების მომზადება, რომლებსაც ასევე აქვთ პედაგოგიური უნარები: „*მომზადდეს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და პედაგოგიური პერსონალი ტრადიციული ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგებში.*“ პროგრამები უშვებს სასწავლო კურსებს, რომლებშიც ყურადღება ექცევა პედაგოგიური უნარების დაუფლებას მუსიკალურ-სამეცნიერო საგნებში, რომელიც ასევე მოიცავს მომდერალთა გუნდის

მართვას. ამრიგად, პედაგოგიური მიმართულება უნდა გაძლიერდეს.

რეკომენდებულია, რომ კურიკულუმში ნახსენები სწავლების თანამედროვე მეთოდები, როგორცაა PBL, Case-Study, როლური თამაშის მეთოდები, სილაბუსებშიც იყოს ასახული. ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრებების შემდეგ ნათელი იყო, რომ ისინი გამოიყენება სასწავლო პროცესში. მაგალითად, სასწავლო გეგმის აღწერაში სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებად წერია: „სწავლა მიმდინარეობს სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდებითა და ფორმებით: ლექცია და პრაქტიკული სამუშაო სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით: დემონსტრაცია, დისკუსია, კითხვა-პასუხის სესია, პრეზენტაცია. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ანალიზი და სინთეზი, განმარტებითი მეთოდი და ა.შ.“ პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტების საშემსრულებლო და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რისთვისაც აქტიურად გამოიყენება სარეპეტიციო სამუშაოები, საკონცერტო წარმოდგენები, ფესტივალებში მონაწილეობა და სხვადასხვა შემოქმედებით პროექტში ჩართვა; ამავდროულად, სასწავლო პროცესი მოიცავს მაგისტრანტის დამოუკიდებელი, თვითგანათლების პროცესის აქტივობას, რომელიც უნდა განხორციელდეს სპეციალური ლიტერატურის ინტენსიური გაცნობითა და შესწავლით, საარქივო (ხელნაწერი) მასალების სისტემატური შესწავლით და საღვთისმეტყველო გალობის პრაქტიკის შესახებ ემპირიული გამოცდილების მიღებით. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს ხელნაწერებზე მუშაობას, სტუდენტების მომზადებას სხვადასხვა სპექტაკლში მონაწილეობისთვის (სალექციო კონცერტები, ფესტივალები და სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები) და სხვადასხვა სამეცნიერო პროექტში ჩართვას. თუმცა, მუსიკის თეორია 2-ის (BA) კურსში და არა მარტო იქ, სწავლებისა და სწავლის მეთოდები მოიცავს მხოლოდ ლექციებს, პრაქტიკულ და დამოუკიდებელ მუშაობას.

წარმოდგენილია ინდივიდუალური კურიკულუმის პროექტი, სადაც ნათლად წერია, თუ როგორ შეიქმნება ის, ვინ შეიძლება იყოს ინიციატორი და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს სასწავლებელს ჰქონდა უნარშეზღუდული სტუდენტის სწავლების გამოცდილება, რადგან ასეთი შემთხვევისთვის სრულიად მორგებული იყო სასწავლებლის გარემო, ისე რომ სტუდენტებს არანაირი პრობლემები არ შექმნოდათ. კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას კონკრეტულმა კურსდამთავრებულმა გამოხატა მადლიერება, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ყველა პირობა შეუქმნა მას კომფორტული სწავლისთვის. ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა დასტურდება უსდ-ის საქმიანობითა და მტკიცებულებების/ინდიკატორების ველში მითითებული თანმხლები დოკუმენტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრებები ვიზიტის დროს
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა
- „გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება“
- ინდივიდუალური კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია - ამონარიდი გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების პროექტიდან.

რეკომენდაციები:

- ქრისტიანობის ისტორიის პროგრამის ფარგლებში მინიჭებული კვალიფიკაცია უნდა ფორმულირდეს, როგორც ქრისტიანობის ისტორიის მაგისტრი (MA in History of Christianity) და შესაბამისად იქნას მითითებული დოკუმენტაციაში ორივე ენაზე. უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის სახელწოდებასა და შინაარსს შორის შესატყვისობა.
- პროგრამებში უნდა გაძლიერდეს პედაგოგიური ელემენტი, რათა პროგრამები შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის ხედვას.

<p>რჩევები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სწავლების მეთოდები, რომლებიც დასახელებულია კურიკულუმში, ასევე უნდა იყოს აღწერილი სილაბუსებში მათი განხორციელების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს
უნივერსიტეტში ამოქმედდება პლაგიატის გამოვლენის პროგრამა ტურნიტინი (Turnitin) და დარეგულირდება შემდეგი დოკუმენტი: გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში პლაგიატის გამოვლენის, მისი პრევენციისა და ინციდენტზე რეაგირების წესი (პროექტი). სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები ნათლად არის აღწერილი საეკლესიო მუსიკის ფაკულტეტის დებულებაში. ჩატარებული კვლევის დროს წარმოდგენილი აბსტრაქტები შეეხება აქტუალურ პრობლემებს და ემსახურება ქართული გალობის ტრადიციების დანერგვას, აღორძინებასა და პრაქტიკაში დანერგვას. გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებული კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა შემდეგი სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური რესურსები: კულტუროლოგია - სალექციო კურსი (2015); საგალობო ტერმინთა

ლექსიკონი - (2015 წ.). პროექტი დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში. ლექციები ლიტურგიაში (2019); პროფესორების მიერ ვიდუო ლექციების ციკლი (2020) შემდეგი კურსებისთვის: ტრადიციული სიმღერა, გალობა, მუსიკალური პალეოგრაფია, გალობის ისტორია და თეორია; ქართული გალობის მონოგრაფიის სახეობები - ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) გამოცემა, საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2021 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გამოცემის შესახებ და ა.შ.

ბოლო წლებში შემოქმედებითი და საშემსრულებლო მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები: გალობის უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ საქველმოქმედო ფონდის ქართული გალობისა და გერმანიის პოტსდამის უნივერსიტეტის ინიციატივით ორგანიზებულ სამეცნიერო და მუსიკალურ ექსპედიციაში აჭარის ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში; სტუდენტების ჩართულობით განხორციელდა პროექტი: ერთი ხეობის ფოლკლორი - ჭვანა. გალობის უნივერსიტეტის სტუდენტები ნინო რეხვიაშვილი და ნათია აზარაშვილი 8-18 თებერვალს ესტუმრნენ ჭვანას, ერთი ხეობის ფოლკლორის - ჭვანას კონცერტამდე მოსამზადებელი სამუშაოებისთვის. პროექტში ასევე მონაწილეობდა გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გიორგი ჯოღბორდი; 2020 წლის დეკემბერში სტუდენტებმა გალობის უნივერსიტეტში გამართეს უცხო ქვეყნების საშობაო ტრადიციებისადმი მიძღვნილი პრეზენტაცია-კონცერტი (ლონისძიება განმეორდა იანვარში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში) და ა.შ. თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო და 2023 წლის შემოქმედებითი საქმიანობა: ყოველთა წმიდათა საგალობელთა დაუჯდომელი ჰიმნის მომზადება და გამოცემა, ავტორი: პროფ. დიაკონი მიხეილ გალდავა; საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ჩიჯავაძე-გვახარიას მუსიკალური ლექსიკონის ხელნაწერის გაციფრულება და ელექტრონული გამოცემის მომზადება.

გალობის უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი აქვეყნებს პუბლიკაციებს უნივერსიტეტის ჟურნალებში და სხვა სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში მაღალი სამეცნიერო გავლენით. პუბლიკაციების საერთო რაოდენობა დიდია. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ფაკულტეტისა და კვლევითი დაწესებულების პერსონალის განახლებული მონაცემთა ბაზა, მათ შორის მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები საქართველოში და საზღვარგარეთ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტები და სხვა სახის ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საეკლესიო მუსიკის ფაკულტეტის დებულება (დანართი N12);
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის ინსტრუქცია (დანართი N27);
- დაცული სამაგისტრო ნაშრომების აბსტრაქტები (დანართი N41);
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სამოქმედო გეგმა
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საეკლესიო მუსიკის ფაკულტეტზე ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობა. საქმიანობა რეგულირდება საეკლესიო მუსიკის ფაკულტეტის შესაბამისი დებულებით. პროცედურები ეფუძნება სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების წესსა და შრომითი ხელშეკრულების მოთხოვნებს.</p> <p>აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში. სამეცნიერო საქმიანობა ფინანსდება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან; გარდა ამისა, მათ მხარს უჭერენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობა“ და საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. შედეგად განხორციელდა და კვლავ მიმდინარეობს კვლევით-სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტები.</p> <p>დაწესებულება ხელს უწყობს და მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის კვლევით და შემოქმედებით შედეგებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მათი სამეცნიერო პუბლიკაციების დაფინანსებით, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობით და ექსპედიციების ჩატარებით; • აკადემიური პერსონალის მობილობითა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით; • საგრანტო დაფინანსების მოპოვებით, საპროექტო წინადადებების შემუშავებით; • აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებით ტრადიციულ მუსიკასა და ღვთისმეტყველებაზე. <p>გასაუბრებების დროს ცხადი გახდა, რომ დაწესებულება სრულად ფარავს სამეცნიერო პუბლიკაციების ხარჯებს. ისინი ასევე აფინანსებენ სამეცნიერო ნაშრომებსა და კონფერენციებს, სტუდენტურ ექსპედიციებს, ფესტივალებს და რეგიონებში საეკლესიო მსახურებებში მონაწილეობას.</p> <p>უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება სამეცნიერო-შემოქმედებით საქმიანობაში, მათი ჩართვა ფოლკლორულ ექსპედიციებში და საექსპედიციო მასალების საჯარო პრეზენტაციებში, საბიბლიოთეკო პრაქტიკის ხელშეწყობა.</p> <p>სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ეფექტური ადმინისტრირებისა და განხორციელების მიზნით შემუშავდა შემდეგი რეგულაცია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დადგინდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მინიმალური სამეცნიერო/შემოქმედებითი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ახალი სტატუსის მოპოვების შემდეგ; 2. შემუშავდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და პროფესიული

განვითარების წესის პროექტი;

3. განისაზღვრა კვლევის პრიორიტეტული მიმართულებები, შემუშავდა და დამტკიცდა კვლევითი გრანტების დაფინანსების წესების პროექტი.

დაწესებულება მუშაობს უცხოურ უნივერსიტეტებთან საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის, სამეცნიერო საზოგადოებებთან და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაძლიერებით. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ წელს, გალობის უნივერსიტეტმა უმასპინძლა აღმოსავლეთ ფინეთის უნივერსიტეტის პროფესორს, სასულიერო მუსიკის სპეციალისტს, მგალობელს, მარია ტაკალა-როშჩენკოს და მის კოლეგას, ეთნომუსიკოლოგს და ბიზანტოლოგს, დოქტორანტს რიკა პატრიკაინენს; გაიმართა საჯარო ლექციები და მასტერკლასები; გაიმართა დისკუსია თემებზე: "ფინეთის საეკლესიო მუსიკოსების სამსახურის ასპექტები ფინეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში", "სასულიერო მუსიკოსების განათლება აღმოსავლეთ ფინეთის უნივერსიტეტში". ქართული გალობის შესახებ პუბლიკაციების მოწვეული რედაქტორია მარია ტაკალა-როშჩენკო. აღსანიშნავია შეხვედრა მუსიკოსებთან ბულატ ხალილოვთან და თემურ კოძოკოსთან. სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართული ინსტრუმენტის ჭუნირისა და ჩერქეზული ინსტრუმენტის შიჩეფშინის თანამშრომლობა. აღნიშნული აქტივობები დაადასტურა აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, დეკანთან და პროგრამის დირექტორთან გასაუბრებებმა.

დაწესებულება ხელს უწყობს ახალგაზრდა მკვლევართა ჩართვას სამეცნიერო პროექტებში. 2023 წლის პროექტებში „ფოლკლორისტ ოთარ ჩიჯავაძის ციფრული ხელნაწერი ნაწარმოებების შედგენა, რედაქტირება და დამუშავება“ და „საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ჩიჯავაძე-გვახარია მუსიკალური ლექსიკონის ხელნაწერის გაციფრულება და ელექტრონული გამოცემის მომზადება“ განხორციელდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აქტიური მონაწილეობით. საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში (2023-2026 წწ.) მიმდინარე პროექტში „ვნების კვირეულის საგალობლები ქართულ საეკლესიო ტრადიციაში“ ჩართულნი არიან ახალგაზრდა მკვლევრები.

სვოტ (SWOT) ანალიზში, რომელიც ჩატარდა სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში, გამოვლინდა გარკვეული სისუსტეები და გასაუმჯობესებელი მხარეები:

- საერთაშორისო კვლევითი და კრეატიული პროექტების ნაკლებობა;
- უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი პროექტების მცირე რაოდენობა;
- არასაკმარისი თანამშრომლობა საერთაშორისო ფონდებთან ფინანსების მოსაპოვებლად.

უნივერსიტეტში ტარდება მიზნობრივი დარგისთვის სპეციფიკური კვლევა; თუმცა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და თანამედროვე კვლევებში ჩართულობის გასაძლიერებლად, რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება და დამატებითი პერსონალისა და სტუდენტების გაცვლის პროგრამების ხელმისაწვდომობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ფაკულტეტის დებულება;
- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ინსტიტუციური სტრატეგია;
- ანგარიში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შესახებ;
- შეხვედრებისა და ლექციების/მასტერკლასების ამსახველი მასალები;
- <https://journal.fi/jisocm/index>;
- კვლევის, შემოქმედებითი საქმიანობისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესები;

<p>რეკომენდაციები:</p> <p>➤ გაიზარდოს საერთაშორისო თანამშრომლობა და ჩართულობა თანამედროვე კვლევებში; რეკომენდებულია, რომ გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და დამატებით გაცვლით პროგრამებზე პერსონალისა და სტუდენტების ხელმისაწვდომობა.</p>
<p>რჩევები:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება</p>
<p>უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.</p>
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად ირკვევა, რომ უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი-სახელოვნებო საქმიანობის ხარისხის და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა, რომელიც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</p> <p>სვოტ (SWOT) ანალიზის შედეგად, რომელიც ჩატარდა სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში (იხ. სტანდარტი 1), ერთ-ერთი გასაუმჯობესებელი მხარე იყო „აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმების გაუმჯობესების საჭიროება“.</p> <p>როგორც უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაშია განსაზღვრული, უნივერსიტეტში პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული საქმიანობის ხარისხის განვითარება გულისხმობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • <i>სამუშაო შეხვედრებს სამეცნიერო და კვლევებში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებთან;</i> • <i>სამეცნიერო ნაშრომების შეფასების ინდიკატორების ცოდნას და მათი გამოყენებით ნაშრომების შეფასების თანმიმდევრობისა და ობიექტურობის მიმოხილვას;</i> • <i>საგრანტო განაცხადების, პროექტების, ჯილდოების განხილვაში მონაწილეობას და ჩართვას;</i> • <i>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობას ფაკულტეტის მიერ წარდგენილი საპროექტო განაცხადებისა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიშების განხილვაში.</i> <p>უნივერსიტეტის სტატუსის მოსაპოვებლად შემუშავებულ დოკუმენტებს შორის არის აკადემიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების საპროექტო დოკუმენტი, ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების შესახებ. იგი ერგება სტრატეგიულ მიზანს 1, დავალება 5-ს (კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტების ეფექტური ადმინისტრირება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის შეფასების სისტემა; სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მექანიზმები) და უზრუნველყოფს მის განხორციელებას.</p> <p>საპროექტო დოკუმენტის შექმნას წინ უძღოდა კვლევითი საქმიანობის არსებული სისტემისა და აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შესწავლა. ამ უკანასკნელის ანალიზში,</p>

ასევე ადგილობრივ და ევროპულ უნივერსიტეტებში გავრცელებული პრაქტიკის შესწავლამ მეცნიერთა, თანამშრომელთა სამეცნიერო-კვლევითი მართვისა და მეცნიერული პროდუქტიულობის შეფასების მიმართულებით, აჩვენა ერთიანი თანამედროვე სისტემის შექმნის აუცილებლობა. შესაბამისად, რექტორის ბრძანებით შეიქმნა დოკუმენტი „ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტის“ აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების წესი“, რომელიც მოიცავს კვლევის შეფასების ყველა ეტაპს. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია შემდეგი:

- ევოლუციის მიზანი - ამ მიზნით აქტივობების ხელშეწყობა, ხარისხის ამაღლება და მონიტორინგი;
- პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, მოტივაციის გაზრდა და პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა, ამავდროულად პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. - ასევე:
- შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები; პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება; აკადემიური აქტივობის შეფასება;
- შეფასების შედეგებზე რეაგირება;
- დასკვნითი დებულებები.

აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ აკადემიური პერსონალი აცნობიერებს პოლიტიკას და დადებითად არის განწყობილი მის განხორციელებაზე. შესაბამისად, ამ სტანდარტის შესაბამისი დოკუმენტაცია მოამზადა და წარმოადგინა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრებები ვიზიტის დროს.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების წესის პროექტი (დანართი N32).
- ა(ა)იპ გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ

მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსი

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი ფლობს შემდეგ მატერიალურ რესურსს:

შენობებს საერთო ფართობით 2069.6 კვ.მ. ორ ადგილას:

i. ადმინისტრაციისა და სწავლების მთავარი შენობა მდებარეობს ქ.თბილისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 21 მე-5 სართულზე, საერთო ფართი 1071.96 კვ.მ. და მოიცავს: სასწავლო აქტივობებისთვის გამოყოფილ სივრცეებს, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ზომის სასწავლო აუდიტორიებსა და საკლასო ოთახებს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერის კლასს, რომელიც აღჭურვილია დაახლოებით 10 კომპიუტერით, ჩამწერ სტუდიას, ოფისებს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის, დერეფანს, სამედიცინო ოფისს, სივრცეებს სტუდენტების დასვენებისთვის და სანიტარულ სათავსოებს.

ჩამწერი სტუდია სრულად აღჭურვილია შესაბამისი ამრევებითა და ხმის ეკვალიზირებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჩაწერისთვის საჭირო სიმძლავრე და ხმის სისუფთავე. ასევე ხელმისაწვდომია ხმის რედაქტირებისა და მუსიკალური მასალის წარმოების სისტემები, ასევე მაღალი გარჩევადობის საპროექციო მოწყობილობა (ULTDA HD). სტუდიის ოთახები გამოიყენება როგორც სწავლებისთვის, ასევე სპეციალური საქმიანობისთვის, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტების ან პერსონალის შემოქმედებით პროექტებთან. კონკრეტული ღონისძიებებისთვის, მარტივად შესაძლებელია ნებისმიერ ოთახში აკუსტიკური სისტემების ხელახლა დაყენება და ღონისძიების „ჩვენება“ ლოკალურ ქსელში ან ინტერნეტში.

ადგილზე არ არის სტუდენტური კაფეტერია, მაგრამ სტუდენტებს და პერსონალს შეუძლიათ საკუთარი საკვები მოიტანონ და მიირთვან მოსასვენებელ სივრცეებში ან საკუთარ ოფისებში. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებთან გასაუბრებისას უსდ-ის მიერ განსახილველ საკითხად დასახელდა კაფეტერიის დაარსება.

უსდ-ს ასევე აქვს წვდომა შენობის სხვა სართულებზე მდებარე ობიექტებზე (რომლებიც საპატრიარქოს საკუთრებაშია), ძირითადად საპატრიარქოს ბიბლიოთეკაზე, მუსიკისა და სხვა ღონისძიებების ჩაწერის პროფესიონალურ სტუდიაზე, სატელევიზიო წარმოებაზე და დიდ საკონფერენციო დარბაზზე.

ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ავეჯით, საჭირო ინვენტარით და უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ცივი და ცხელი წყლით და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

ყველა სივრცე სუფთა და ძალიან მოვლილია და ქმნის სასიამოვნო გარემოს სწავლებისა და სწავლისთვის. ყველა ობიექტი ხელმისაწვდომია სპეციალური საჭიროების მქონე პირისთვის. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს სველ წერტილზე წვდომა აქვთ შენობის პირველ სართულზე.

ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა განლაგებულია შენობის თითოეულ სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, გამოყენების დეტალური ინსტრუქციით სავაკუაციო კარებითა და კომპეტენტური სააგენტოების მიერ დამტკიცებული სავაკუაციო გეგმებით.

სივრცე უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ცალკეულ ადგილებში

დამონტაჟებულია კონდიციონერის სისტემა.

ii. თამარაშვილის 6-ში მდებარე კიდევ ერთი სივრცე, საერთო ფართით 998.02 კვ.მ, N7 კორპუსის მე-4 და მე-6 სართულებზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან, უძრავი ქონების მოთხოვნის შეთანხმებით, გადაეცა უმაღლეს სასწავლებელს, არსებული ინვენტარით 6 წლის ვადით სარგებლობის უფლებით. ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ფართები: საკლასო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, პროფესორების ოთახი, აკადემიური პერსონალის შეხვედრების ოთახი, კომპიუტერული ოთახი 9 კომპიუტერით, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კაბინეტები, დერეფანი, სამედიცინო კაბინეტი, სველი წერტილები, არქივი, საწყობი.

დაყოფილი სანიტარული ბლოკები, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა განყოფილება, მუდმივად მარაგდება ცხელი და ცივი წყლით, დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებითა და ვენტილაცია.

სივრცე უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ზოგიერთ ოთახში დამონტაჟებულია კონდიციონერი.

სასწავლო სივრცე აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება. თუმცა, საკლასო ოთახები არ არის განლაგებული კონკრეტული ტერიტორიის მიმდებარედ, არამედ შერეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის გამოყოფილ საკლასო ოთახებთან. შენობის მდგომარეობა ჯერ-ჯერობით არ არის კარგი, ალბათ იმიტომ, რომ ამჟამად არ გამოიყენება, მაგრამ დაჯავშნილია სტუდენტების რაოდენობის გაზრდისთვის. ჯგუფი მიიჩნევს, რომ პირველ კორპუსში არსებული სივრცე საკმარისია სტუდენტების მიმდინარე რაოდენობისა და მოკლევადიანი დაგეგმვის მხარდასაჭერად.

სახანძრო ტექნიკა განთავსებულია შენობის თითოეულ სართულზე, თვალსაჩინო ადგილებში, გამოყენების დეტალური ინსტრუქციით. ვიზიტის დროს ერთ-ერთი საავარიო გასასვლელი ჩაკეტილი იყო და ჯგუფმა შენიშნა, რომ იგი არ აკმაყოფილებს საავარიო გასასვლელის კარების მოთხოვნებს.

თბილისში, ჩუბინაშვილის 49 ნომერში, N1 კორპუსის პირველ და მეორე სართულებზე, საერთო ფართი 1800 კვ.მ. აუქციონის გარეშე, უსასყიდლოდ გადაეცა დაწესებულებას არსებობის მანძილზე სარგებლობისთვის. ახალი შენობის ასაშენებლად და 2025 წლისთვის ექსპლუატაციისთვის მოსამზადებლად, რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს არსებული შენობის დემონტაჟი. სტრატეგიული გეგმის დებულების მიხედვით, 2025 წლის დასაწყისიდან უსდ ზემოაღნიშნული სივრცის სასწავლო პროცესის მიზნებისთვის გამოყენებას გეგმავს.

ძირითადი ქონების კანონიერი ფლობა ემყარება წერილობით შეთანხმებებს და ამ უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში.

უსდ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებს, საგანმანათლებლო პროგრამებს, პერსონალისა და სტუდენტების შემოქმედებით და კვლევით საქმიანობას და იტევს სტუდენტების დაგეგმილ რაოდენობას.

ორ ობიექტზე არსებული სამედიცინო ოფისები აღჭურვილია სამედიცინო კაბინეტით და ხელშეკრულებით დასაქმებული მედიით, რომელიც პასუხისმგებელია სამედიცინო დახმარების გაწევაზე და ხელმისაწვდომია მთავარ ადგილზე, კვირაში 6 დღე (ორშაბათი - პარასკევი 9:00-16:00, შაბათი 10:00: 00 - 16:00).

დაწესებულების ობიექტებზე უზრუნველყოფილია კანონის აღსრულება. დაცვისა და უსაფრთხოების მომსახურებას ახორციელებს როგორც უნივერსიტეტის წესრიგის დაცვის მენეჯერი, ასევე დაცვის პოლიცია პოლიციის დეპარტამენტის მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ოპერატიულად და ეფექტურად რეაგირებს

<p>წესრიგის დარღვევაზე და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მატერიალური ღირებულებების დაცვას. შენობის გარე პერიმეტრის დაცვას უზრუნველყოფს შპს საქართველოს საპატრიარქო ტელევიზიის დაცვის სამსახური მთავარ ადგილზე და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვის სამსახური მეორე ადგილზე.</p> <p>უძრავი ქონების შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო გადაღების ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. შიდა პერიმეტრზე ვიდეოთვალთვალის მონაცემებს ამუშავებს გალობის უნივერსიტეტის IT სპეციალისტი, ხოლო გარე პერიმეტრზე შპს საქართველოს საპატრიარქო ტელევიზიის უსაფრთხოების სამსახური.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ● თვითშეფასების ანგარიში ● უძრავი ქონების განკარგვის დამადასტურებელი დოკუმენტები, კონტრაქტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ● ორივე ადგილზე ვიზიტი, რომელსაც უნივერსიტეტი იყენებს ან შეიძლება გამოიყენოს სწავლებისა და ადმინისტრაციული მიზნებისთვის. ● ვიზიტების დროს ადმინისტრაციულ პერსონალთან დისკუსია
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ მიღებულ იქნას ჩუბინაშვილის ქ. 49-ში არსებული შენობის ავარიულ გასასვლელთან დაკავშირებით ზომები. ➢ განაახლეთ ობიექტები თამარაშვილის 6-ში, რათა შეიქმნას უფრო სასიამოვნო გარემო სტუდენტებისა და პერსონალისათვის.
<p>რჩევები:</p> <p>o გაითვალისწინეთ სტუდენტების მოთხოვნა კაფეტერიის არსებობის შესახებ.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>7.2. საბიბლიოთეკო რესურსები</p> <p>ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.</p>
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის, გალობის უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკის წიგნები, პერიოდული გამოცემები და ჟურნალები არსებულ მთავარ შენობაში. ბიბლიოთეკაში ინახება: წიგნი - 2354 ერთეული (მათ შორის: სასწავლო, მხატვრული, შემეცნებითი ლიტერატურა); CD/DVD – 462 ერთეული (მათ შორის სასწავლო მასალა, ექსპედიციის ჩანაწერები, ფოლკლორის ნიმუშები); ნოტები - 89 ერთეული (მათ შორის შემდეგი კოლექციები: სოლფეჯიო, ჰარმონია, მრავალხმიანობა, საეკლესიო გალობა, ფოლკლორის ნიმუშები).</p> <p>უნივერსიტეტმა დანერგა ელექტრონული კატალოგი, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დისტანციურად შეამოწმოს საჭირო ლიტერატურა კონკრეტულ ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს და პროფესორებს შეუძლიათ გამოიყენონ სახელმძღვანელოების PDF ვერსიები. ბიბლიოთეკას აქვს სკანერები და ქსეროქსები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკა ღიაა მკითხველებისთვის ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე და შაბათს 10 საათიდან 15 საათამდე.</p>

უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმებს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, ამავე შენობაში მდებარე საპატრიარქო ბიბლიოთეკასთან, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან და სამეცნიერო ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, რათა სტუდენტებსა და თანამშრომლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ სხვადასხვა სერვისით. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ბიბლიოთეკართაშორის სერვისებზე, რომლის მეშვეობითაც წიგნები, რომლებიც არ არის მარაგში, შესაძლებელია გამოითხოვონ სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან. ექსპერტთა ჯგუფმა ბიბლიოთეკის პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრისას განიხილა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო მომსახურება. დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის უმეტესი ნაწილი სილაბუსებში ჩამოთვლილი მასალებისგან შედგება და პედაგოგიური პერსონალი რეგულარულად ურჩევს სტუდენტებს ბიბლიოთეკის გამოყენებას სასწავლო და საშინაო დავალების შესასრულებლად. ექსპერტთა ჯგუფმა გააცნობიერა, რომ ბიბლიოთეკის პერსონალს გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია და სარგებლობს უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობებითა და ტრენინგებით. თანამედროვე საბიბლიოთეკო სტანდარტების გამოსაყენებლად, ბიბლიოთეკარებს წელს ჩაუტარდათ ტრენინგი შემდეგ თემებზე: თანამედროვე ბიბლიოთეკის როლი და მნიშვნელობა განათლების სისტემაში და ელექტრონული სწავლების კონტექსტში; თანამედროვე საბიბლიოთეკო სისტემები და ელექტრონული სერვისები; სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენება.

ყოველწლიურად, ბიბლიოთეკის სერვისების შესახებ კითხვარის მეშვეობით ტარდება ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ გამოკითხვა. კვლევის შედეგების მიხედვით, 72,7% მიიჩნევს, რომ ბიბლიოთეკა სრულად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, ხოლო 23,3% ფიქრობს, რომ მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკამ უნდა გააგრძელოს ინფორმაციის რეგულარულად შეგროვება მომხმარებელთა გამოკითხვებითა და გამოყენების შესახებ მონაცემებით, თუ როგორ მოიხმარს აკადემიური პერსონალი (მათ შორის მოწვეული პერსონალი) და სტუდენტები მის მომსახურებებს და როგორ ხედავენ სამომავლო განვითარების საჭიროებებს.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები ყოველწლიურად ატარებენ შეხვედრებს ახლად ჩარიცხულ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებთან, თუ როგორ გამოიყენონ ბიბლიოთეკის ფიზიკური და ციფრული რესურსები. აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრებმა გამოავლინა ნდობისა და კეთილგანწყობის მაღალი დონე ბიბლიოთეკარების პიროვნულ და პროფესიულ თვისებებთან დაკავშირებით. გასაუბრების პროცესში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკა მათ შეუფერხებლად აწვდის საგანმანათლებლო და საკითხავ რესურსებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა სხვა დაწესებულებიდან წიგნის სესხება. თანამშრომლებმა და სტუდენტებმა განმარტეს, რომ ისინი ბიბლიოთეკის თანამშრომლებს მიმართავენ წიგნებისთვის და ასევე, თავადაც იყენებენ ბიბლიოთეკის ციფრული ძიების სისტემას. როდესაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას არ გააჩნია მათთვის საჭირო მასალა, ისინი მოთხოვნას საჯარო ბიბლიოთეკებიდან სესხების გზით ასრულებენ. უნივერსიტეტის მთავარი შენობების მონახულებისას ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ტერიტორია, სადაც სტუდენტები და პერსონალი უზრუნველყოფილნი არიან უნივერსიტეტის ქსელებთან და ინტერნეტთან უკაბელო წვდომით. სამკითხველო ოთახები სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის უფასოა, აღჭურვილია კომფორტული ავეჯითა და განათებით. ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან, აკადემიურ პერსონალთან, ხელმძღვანელებთან და ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებთან შეხვედრების მეშვეობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, თუ რამდენად იყენებს პერსონალი და სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ გამოწერილი ინფორმაციის ონლაინ წყაროებს, როგორებიცაა EBSCO, Elsevier, RILM Music Encyclopedias, ProQuest Ebook Central. აღნიშნულ ინფორმაციის წყაროებზე წვდომა შესაძლებელია ძირითადად საუნივერსიტეტო

<p>სივრცედან; თუმცა Elsevier პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება შესაძლებელია დისტანციურადაც. აუცილებელია, რომ ბიბლიოთეკამ რეგულარულად მოამზადოს მოხსენება იმის შესახებ, თუ რამდენად იყენებენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი და სტუდენტები ონლაინ მონაცემთა ბაზებს, რომლებიც გამოწერილია უნივერსიტეტის მიერ და წარუდგინოს ეს ანგარიში აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • წიგნადი ფონდის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ინვენტარიზაციის მასალები (დანართი N49); • საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები (დანართი N50). • თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ბიბლიოთეკამ რეგულარულად უნდა მოამზადოს მოხსენება იმის შესახებ, თუ რამდენად იყენებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ონლაინ მონაცემთა ბაზებს, რომლებიც გამოწერილია უნივერსიტეტის მიერ და წარუდგინოს ეს ანგარიში ფაკულტეტის საბჭოს. ○ ბიბლიოთეკამ რეგულარულად უნდა შეაგროვოს ინფორმაცია მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგებისა და მოხმარების მონაცემების შესახებ, თუ რამდენად მოიხმარს აკადემიური პერსონალი (მოწვეული პერსონალის ჩათვლით) და სტუდენტები მის მომსახურებებს და როგორ ხედავენ სამომავლო განვითარების საჭიროებებს.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>7.3 საინფორმაციო რესურსები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები. ○ უსდ უზრუნველყოფს ბიზნეს პორცესების უწყვეტობას. ○ უსდ-ს აქვს მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-მ შეიმუშავა ფორმალური საუნივერსიტეტო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის პოლიტიკას საინფორმაციო ტექნოლოგიების თითოეულ კომპონენტთან მიმართებით, განსაზღვრავს პირობებს და პროცედურებს მათი ეფექტური ფუნქციონირებისთვის, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პროცესის მართვასა და მონიტორინგზე. ამჟამად IT ინფრასტრუქტურის დანერგვა არის პროექტის დონეზე, სადაც გარკვეული კომპონენტები განხორციელებულია, ხოლო სხვები მიმდინარეობს. კერძოდ:</p> <p>ა) უსდ-ის მთავარი შენობის ტექნიკური ინფრასტრუქტურა მოიცავს 22 პერსონალურ კომპიუტერს, 8 ლეპტოპს, 4 პროექტორს, 9 პრინტერს, 3 ტელევიზორს (მონიტორის ფუნქციით), 10-ტელეფონს, რომლებიც დამონტაჟდა და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ კლასში, პროფესორის ოთახსა და ადმინისტრაციულ კაბინეტში. საკლასო</p>

ოთახებში დამონტაჟებულია ოთხი (4) პროექტორი და 2 მონიტორი, ხოლო აუდიტორიაში განთავსებულია ლეპტოპი და პროექტორი. სტუდენტებს და პერსონალს აქვთ ღია და უფასო წვდომა IT ინფრასტრუქტურაზე, თუნდაც ბეჭდვაზე უფასოდ. 7.1-ში ჩამოთვლილ მეორე კორპუსში უსდ-მ მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე IT ინვენტარით სარგებლობის უფლება.

ბ) ინტერნეტ სერვისებს სრულად უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემების პროვაიდერი „სს სილქნეტი“ კონტაქტურ საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების წვდომას ინტერნეტ სივრცეში არსებულ საინფორმაციო რესურსებზე (ელ. ფოსტა და ინტერნეტთან წვდომის სერვისები).

გ) სწავლის ელექტრონული მართვის სისტემა: სისტემა „ini.ge“, რომელიც უზრუნველყოფილია „Host.ge“-სთან მომსახურების ხელშეკრულებით, როგორც ადგილზე ვიზიტის დროს გვაჩვენებს სრულად ფუნქციონირებს და სწავლებისა და სწავლის პროცესში მხარს უჭერს სწავლის, კომუნიკაციისა და საოპერაციო ასპექტებს. სტუდენტებისა და პერსონალის ტრენინგი აუცილებელია სისტემის შესაძლებლობების სრულად გამოყენებისთვის.

დ) უკვე შეძენილია ელექტრონული დოკუმენტების ნაკადის მართვის სისტემა და ის საპილოტე ტესტირების ეტაპზეა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში. ამჟამად, შვიდი მომხმარებლის ლიცენზიაა შეძენილი 2023 წლის 31 დეკემბრამდე, შემდეგ კი ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება. მომხმარებელთა რაოდენობა მომავალი წლიდან გაიზრდება. ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფს არ მიუღია კონკრეტული პასუხი საპილოტე ტესტირების დასრულებისა და სისტემის სრული ფუნქციონირების დაწყების შესახებ.

ე) ვებგვერდი ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ინგლისურენოვანი ვერსია ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია, მაგალითად, არ არის ინფორმაცია შემოთავაზებული პროგრამების შესახებ, ან რაიმე სხვა ინფორმაცია მომავალი სტუდენტებისთვის, შესაძლოა იმიტომ, რომ შემოთავაზებული პროგრამები ჯერ არ არის აკრედიტებული. მიუხედავად ამისა, გათავსებული იყო ინფორმაცია მისიის, ისტორიის, არსებული სტრუქტურის, პერსონალის და სტუდიის შესახებ, ხოლო განყოფილება „სიახლეები“ მოიცავს ძალიან საინტერესო უსდ-ის როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო აკადემიურ, კულტურულ და სოციალურ საქმიანობას.

სკოლა ამჟამად აღწერს და აფასებს არსებულ აღჭურვილობას, გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე იძენს და ცვლის ძველ აღჭურვილობას ახალი ტექნიკით.

უსდ-მ შეიმუშავა ელექტრონული სერვისებისა და მართვის სისტემების განვითარების მექანიზმების წესი, რომლის ძირითადი საშუალებაც არის ა) სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვა მჭიდროდ დაკავშირებული კითხვარების მეშვეობით და ბ) დახურული Facebook ჯგუფი ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, რომელიც შეიქმნა უნივერსიტეტის მართვის სისტემის (UMS) ხარვეზების დასაფიქსირებლად, ასევე აქტუალური საკითხების გადასაჭრელად, სადაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები წერენ პრობლემებსა და მცირე ხარვეზებზე. ამჟამად IT სპეციალისტი (IT სერვისის განყოფილება) მხარს უჭერს IT ფუნქციონირებას, ტექნიკური პრობლემების აღმოჩენისას ერევა ადგილზე და შესაბამისად მოქმედებს. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა განეხილა სტუდენტებისა და პერსონალის კითხვარები და გასაუბრებოდა IT სპეციალისტს ადგილზე ვიზიტის დროს.

თუმცა, IT მენეჯმენტის ფორმალური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს საინფორმაციო ტექნოლოგიების, შეძენის/ინსტალაციის პრაქტიკებისა და ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის პროცესებს, კონკრეტული ტექნოლოგიებისა და იმ ადამიანების უფლებებს, რომლებსაც აქვთ ინფორმაციაზე წვდომა, მათ შორის

უსაფრთხოებისა და უსაფრთხოებისთვის აუცილებელი მოთხოვნების ჩათვლით, აკლია ინფორმაციის ეფექტური გამოყენება, რაც საჭიროა განვითარდეს.

შემუშავებულია და მოქმედებს ბიზნეს პროცესის უწყვეტობის ყოვლისმომცველი გეგმა. გეგმა განსაზღვრავს სხვადასხვა კატეგორიის რისკებს (ოპერაციული, ტექნოლოგიური, ფინანსური და იურიდიული, სტრატეგიული და რეპუტაციის მქონე). ყოველი რისკის პუნქტისთვის, მისი გამოვლინების შეფასების ალბათობა, დაწესებულებასა და სტუდენტებზე გავლენა ფასდება მაღალი-საშუალო-დაბალი ქულით და განისაზღვრება შესაბამისი პრევენციული ქმედება, პასუხისმგებელი განყოფილება/პირი, რისკის დროს ქმედება და შეფასების პასუხისმგებლობა. ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრებებზე დაფიქსირდა გარკვეული დაბალი რისკის შემთხვევები (მაგ. აკადემიური/მოწვეული პერსონალის არარსებობა), რაზეც რეაგირება გეგმის შესაბამისად განხორციელდა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, გარკვეული რისკების წინააღმდეგ პრევენციული ქმედებები უნდა გადაიხედოს და გაძლიერდეს. მაგალითად, ბიზნეს პროცესის უწყვეტობის (Business Continuity) გეგმის პრევენციული ქმედება მონაცემთა ნაკლებობისა და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობისთვის გვთავაზობს ყოველკვირეულ შემოწმებას და სარეზერვო ასლს, თუმცა, IT სპეციალისტმა აცნობა ექსპერტთა ჯგუფს, რომ მონაცემთა სარეზერვო ასლი მიიღება კვირაში ორჯერ გარე მყარ დისკზე. თუნდაც ეს არ არის საკმარისი; თანამედროვე IS სარეზერვო ასლი მიიღება საათობრივად, თუ მუდმივად არა (სარეზერვო სერვერი) და მონაცემები ასევე ინახება ქლაუდზე (cloud), რათა თავიდან იქნას აცილებული ფიზიკური კატასტროფებისგან ზიანი.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- თვითშეფასების ანგარიში
 - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, მართვის პოლიტიკა და პროცედურები (24-02-2023).
 - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესის უწყვეტობის გეგმა (20-03-2023)
 - ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების კვლევის შაბლონი
 - ხელშეკრულება ინტერნეტ პროვაიდერთან
 - მოძრავი ქონების/ ინვენტარიზაციის მასალების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები
 - ინტერვიუ IT მომსახურების სპეციალისტთან.
 - გასაუბრება ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

- შეიმუშავეთ ოფიციალური ყოვლისმომცველი IT მენეჯმენტის პოლიტიკა, როგორც ეს 7.3 სტანდარტის ნარატივის ნაწილშია აღწერილი.
- უზრუნველყოფილი იქნას დოკუმენტობის ელექტრონული სისტემა კონკრეტული ვადის დაწესებით, როდესაც დასრულდება საპილოტე გამოყენება და მოხდება ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა. უზრუნველყოფილი იქნას ყველა ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება გადასვლის თარიღამდე.
- დარწმუნდით, რომ IS მონაცემების სარეზერვო ასლები მუდმივად ინახება და მონაცემები დაცულია. განიხილეთ Cloud-ის გამოყენება, როგორც პარალელური სარეზერვო სისტემა.

რჩევები:

ი დაასრულეთ უნივერსიტეტის ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის შემუშავება, ყველა საჭირო ინფორმაციით უნივერსიტეტის საერთაშორისო დონეზე წარდგენისათვის

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>7.4 ფინანსური რესურსი</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. ○ უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. ○ უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. ○ უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. ○ უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-მ წარმოადგინა 2023 წლის დეტალური ბიუჯეტი და 2024 და 2025 წლების პროგნოზები, რომლებიც მოიცავს შემოსავლებს და თანხების განაწილებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისთვის.</p> <p>ბიუჯეტი ორი ნაწილისგან შედგება: შემოსავლები და ხარჯები. გალობის უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითადი წყაროა საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს საპატრიარქო, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ფიზიკური და სხვა იურიდიული პირების შემოწირულობები. შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი მოდის სტუდენტების სწავლის საფასურზე (0.1% 2023 წლისთვის), იმის გათვალისწინებით, რომ უსდ-ს არ აქვს სწავლის გადასახადი საბაკალავრო პროგრამაზე, ხოლო ერთადერთ სამაგისტრო პროგრამას, რომელსაც ამჟამად სთავაზობს, არსებული შეზღუდვის გათვალისწინებით, რომელიც შეეხება საგნებზე შეზღუდვას, რაც მართლმადიდებლურმა უნივერსიტეტმა შეიძლება შეთავაზოს, ჰყავს სტუდენტების მცირე რაოდენობა.</p> <p>ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ეფუძნება ა) საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2022 წლის კონსტიტუციურ შეთანხმებას, რომლითაც განიხილება საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებით გამოყოფილი სუბსიდია უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად გაიცემა და ბ) ამასთან, დაწესებულების ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, (შეთანხმება N149/11-11-20210) დაწესებულების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისთვის 2022-2031 წლებში. სახელმწიფო სახსრები ფარავს საოპერაციო ხარჯებს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ხარჯებს, ასევე 7.1-ში აღნიშნული ახალი შენობის განვითარებას. უსდ გეგმავს ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ შესთავაზოს პროგრამების უფრო ფართო სპექტრი, რაც უფრო მეტ თანხებს მოიტანს სამაგისტრო პროგრამებიდან, ფინანსური რესურსების საერთო დანაწილების შეცვლის გარეშე სულ მცირე უახლოეს მომავალში.</p> <p>2024 და 2025 წლების ბიუჯეტის მიხედვით, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანხები 2023 წელს 58 500-დან 62 000-მდე და 67 000-მდე გაიზრდება მომდევნო წლებში, ხოლო შემოწირულობები ასევე გაიზრდება ყოველწლიურად 8000-დან 14500 -მდე.</p> <p>2023 წლის ბიუჯეტი 2024-2025 წლების პროგნოზებთან ერთად ასახავს უსდ-ის სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმაში შემავალ აქტივობებს.</p> <p>სახელმწიფოს, საპატრიარქოს, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და მრავალი</p>

<p>ინდივიდუალური თუ ორგანიზაციული დონორის მხარდაჭერა აშკარად ცხადყოფს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაში უნივერსიტეტის მისიისა და როლის მნიშვნელობის ფართო აღიარებას.</p> <p>ბიუჯეტი იძლევა უსდ-ის კვლევითი, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერის შესაძლებლობას, რომელიც, სავარაუდოდ, 2023 წელს მთლიანი ხარჯების თითქმის 10%-ს უნდა შეადგენდეს, ხოლო 2024 და 2025 წლების პროგნოზები გაცილებით მაღალია.</p> <p>უნივერსიტეტის წესდება და უნივერსიტეტის სტატუსის შეცვლის დებულება განსაზღვრავს წლიური ბიუჯეტის შემუშავების პროცესს: ფაკულტეტის საბჭო შეიმუშავებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ამზადებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს, რომელიც მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს საბოლოოდ დასამტკიცებლად.</p> <p>ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგში ჩართულნი არიან რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფინანსური სამსახურის განყოფილების უფროსი და მონათესავე ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელები. თუმცა, ვინაიდან უნივერსიტეტის სტატუსი დღემდე არის საეკლესიო უნივერსიტეტი, დამოუკიდებელი აუდიტორების მხრიდან ოფიციალური აუდიტი არ ჩატარებულა. 2019-2023 წლების ბალანსი, შემოსავლების ანგარიშგება და ფულადი სახსრების ნაკადის ანგარიში ხელმისაწვდომი იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის.</p> <p>როგორც სტანდარტ 1-შია აღნიშნული, სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს ინდიკატორების ერთობლიობას და მათ სამიზნე მნიშვნელობებს 2027/28 წლებში, რომლებიც ასახავს უნივერსიტეტის ზრდას 2023 – 2028 წლებში. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა გარკვეული ბუნდოვანება სტრატეგიულ გეგმაში განხორციელებულ ქმედებებს, მიზნობრივ ინდიკატორებსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტს შორის, განსაკუთრებით ხელფასებთან და მასთან დაკავშირებულ ხარჯებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიქმნება პერსონალის რაოდენობის ზრდით (შესაბამისი რეკომენდაცია 1-ლ სტანდარტში).</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის წესდება (დამტკიცებულია 24.02.2023 წ.) • უსდ-ის ბრძანება უნივერსიტეტის სტატუსის შეცვლის შესახებ (დამფუძნებლის ოქმი 13.02.2023 წ.) • გალობის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2029) და სამოქმედო გეგმა (2023-2025 წწ.) • ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის წესი (29.05.2023 წ.) • გალობის უნივერსიტეტის ბიუჯეტი 2023, 2024 და 2025 წლებში • ბიუჯეტის დინამიკა 2019 -2023 წწ • ფინანსური ანგარიშები (2019-2023) • გასაუბრება ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან • გასაუბრება ბუღალტრული აღრიცხვის და საფინანსო სამსახურთან • გასაუბრება ფინანსური მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელთან • თვითშეფასების ანგარიში
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გადახედეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, როდესაც მეტი ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი ახალი პროგრამების შეთავაზების შესახებ, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებების და ჩარიცხული სტუდენტების მოსალოდნელი რაოდენობის გათვალისწინებით. ○ გაიზარდოს ბიუჯეტი კვლევებისა და ინტერნაციონალიზაციისთვის

უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის მხარდასაჭერად

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან